

პრესომბუდსმენი

A5



4 ივლისს,
დილის 7 საათიდან

A8




დაიწყო...

A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 4 ივლისი, 2005 წელი. №149 (1009)

ფასი 50 თეთრი

## დუისის სპეცოპერაციის დროს სამართალდამცველებმა ცეცხლი გახსნეს

*გუშინ სოფელ დუისში დაწყებული სპეცოპერაცია დიდი სისხლისღვრით დასრულდა. სამართალდამცველები დუისელი ავთანდილ გუმაშვილის დასაპატიმრებლად სოფელში დილის 5 საათზე გამოჩნდნენ და მკვლელობის მცდელობისთვის ძებნილის სახლს ალყა შემოარტყეს.*

ავთანდილ გუმაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე ახმეტის რაიონის პოლიციაში რამდენიმე დღის წინ აღიძრა. როგორც თანასოფლელებმა ჩვენთან საუბარში აღნიშნეს, მან ცოლის გაუპატიურების მცდელობისთვის იძია შური და თანასოფლელი მარგოშვილი თელავში ფეხის არეში დაჭრა. გაუპატიურების მცდელობა რამდენიმე წლის წინ მოხდა, მაგრამ მარგოშვილი ამ ხნის განმავლობაში რუსეთში იმალებოდა და საქართველოში ცოტა ხნის წინ დაბრუნდა.

გუმაშვილი, რომელიც ცეცხლსასროლი იარაღით იყო შეიარაღებული, სამართალდამცველებს არ დანებდა და იგი საკუთარ სახლში მცირეწლოვან შვილთან ერთად ჩაიკეტა. როგორც ადგილობრივმა მკვიდრმა ჯოყოლა ყაჭიშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, თავდაპირველად გუმაშვილთან მოლაპარაკებას მისი გვარის უხუცესები აწარმოებდნენ და სთხოვდნენ მას პოლიციას ჩაბარებოდა, მაგრამ ძებნილი სასტიკი წინააღმდეგი იყო და სამართალდმცველებს ცეცხლი გაუხსნა, რასაც საპასუხო სროლა მოჰყვა.

ორმხრივი სროლის შედეგად დაიცხრილა პოლიციის მანქანა. გაწეული წინააღმდეგობის გამო, პოლიციელთა რიცხვიც გაიზარდა. ამასობაში გუმაშვილმა შვილი სახლიდან გამოუშვა, მასთან კი დარჩა მისივე ბიძაშვილი ვახტანგ გუმაშვილი, რომელიც სტუმრად იყო მისული. პოლიციამ გუმაშვილების სახლზე რამდენჯერმე განახორციელა შტურმი, მაგრამ უშედეგოდ. მოსახლეობაში პანიკა შეიქმნა. ხალხი, სპეცოპერაციის მსხვერპლის გარეშე ჩატარების მიზნით, პოლიციასთან მოლაპარაკებას ითხოვდა. მოგვიანებით, გუმაშვილის დასაცავად, მთელი სოფელი გაერთიანდა და სამართალდამცველებს პროტესტის ნიშნად ქვების სროლა დაუწყო. ამის საპასუხოდ, როგორც ჯოყოლა ყაჭიშვილმა გვითხრა, სპეცრაზმმა ცეცხლი მოსახლეობასაც გაუხსნა, რის შედეგადაც ოთხი დუისელი, მათ შორის ერთი ქალი დაიჭრა. დაჭრილები ახმეტის და თელავის საავადმყოფოებში გადაიყვანეს, სადაც ოპერაცია უკეთდებათ. ყაჭიშვილის განცხადებით, ერთი მოქალაქე თავის არეშია დაჭრილი და იგი ძალიან მძიმედ არის.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით კი, შეტაკებისას მსუბუქად დაიჭრა ერთი სამართალდამცველიც, რომელიც თბილისში გადაიყვანეს.

**"ძებნილების მხრიდან გახსნილი ცეცხლის შედეგად, ორი მოქალაქე და ერთი სპეცდანიშნულების რაზმის წევრი მსუბუქად დაიჭრა",** - განაცხადა შს სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსმა გურამ დონაძემ.

თვითმხილველთა თქმით, საბოლოოდ, გუმაშვილის სახლზე სპეცრაზმმა იერიში დაახლოებით 15 საათზე მიიტანა. ინტენსიური სროლის შედეგად სახლს ცეცხლი გაუჩნდა და ბიძაშვილები ავთანდილ და ვახტანგ გუმაშვილები შიგ დაიწვნენ.

**"ეს იყო ნამდვილი ომი. ვფიქრობთ, არანაირი აუცილებლობა არ იყო იმ სისხლის ღვრის, რომელიც დუისში დატრიალდა. მით-უმეტეს, მთელ სოფელს შეუძლია დაადასტუროს, რომ ავთანდილ გუმაშვილი ყაჩაღი არ ყოფილა და მისი აყვანა სხვა დროს მშვიდობიანადაც მოხერხდებოდა,"** - ამბობდნენ სპეცოპერაციის დასრულების შემდეგ დუისელები.

*24 საათი*

## ამინდი

| | 4/07 | 5 /07 |
|---|---|---|
| თბილისი | 37 | 35 |
| ტყიბული | 35 | 29 |
| სოხუმი | 36 | 31 |
| გორი | 33 | 30 |
| ონი | 27 | 23 |
| ზუგდიდი | 41 | 33 |
| ახმეტა | 36 | 33 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8155 |
| ევრო | 2.1879 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2256 |
| რუბლი | 0.0633 |

| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| ომბუდსმენი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |

# მოჭიდავეების ბუნტი:

## ვის რა შეეშალა და მომავალში ვინ რა უნდა ქნას

"მოჭიდავეების ბუნტის" ყველაზე თვალშისაცემი ნიშანია მიზეზის და შედეგის შეუსაბამობა. აშკარად კრიმინალური ხასიათის "საქმის გარჩევა" გადაიზარდა მწვავე პოლიტიკურ დაპირისპირებაში, რომლის შედეგებსაც კიდევ დიდხანს ვიგრძნობთ. თავისთავად, ის შეიძლება ქართული პოლიტიკური ელიტის საერთო უმწიფრობის გამოხატულებად ჩავთვალოთ (ჩემი დაკვირვებით, ის ძირითადად ასე აღიქვა ე. წ. "უბრალო ხალხმა"). ამასთან, მან მიგვანიშნა აშკარად არაჯანსაღ ვითარებაზე პოლიტიკური ელიტის შიგნით. დავით დარჩიაშვილის კარგი შედარებით ("იმედის" ეთერში), ყოველივე უფრო ჰგავდა ოჯახურ სკანდალს, როდესაც ურთიერთწყენა დიდხანს გროვდება და შედარებით უმნიშვნელო მიზეზის გამო ამოხეთქავს. შემოსწრებული მაყურებლისთვის ძნელი გასაგებია, რა აჩხუბებს ამ ხალხს, თუ არ იცის ურთიერთობათა მთელი ისტორია.

ამიტომ გასაანალიზებელია ორივე: თვით "მოჭიდავეების ბუნტიც" და ის ფონიც, რომელმაც მოვლენათა ასეთი განვითარება შესაძლებელი გახადა. წინასწარ ჩამოვაყალიბებ ჩემს პირად შეფასებას: მოჭიდავეების ეპიზოდში ხელისუფლების ქცევა გაცილებით უფრო ადეკვატური იყო, ვიდრე ოპოზიციისა, მაგრამ თუ ურთიერთობათა მთლიან ფონს გადავხედავთ, ხელისუფლება არც ისე მართალია, როგორც უნდა, საქმე წარმოადგინოს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# სტიქიასთან მებრძოლი რეგიონი

*ბოლო დროს დუშეთის რაიონში მომხდარი კატასტროფული წყალდიდობების, სტიქიის შედეგების აღმოსაფხვრელად გაწეული და გასაწევი მუშაობის შესახებ გვესაუბრება მცხეთა-მთიანეთში პრეზიდენტის რწმუნებულის პირველი მოადგილე, მწერალი შადიმან შამანიძე.*


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*"მეგონა, ყინვალის კაშხალი ცაში აუტანიათ და გადმონგრეულა-მეთქი".*

- თუ ოდესმე მოვინდომებ ბიბლიური წარღვნის სურათის დახატვას, საამისო პრაქტიკა და გამოცდილება, 12 და 14 ივნისს დუშეთის რაიონში მომხდარი წყალდიდობის დროს, უკვე მივიღე. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ბიბლიური წარღვნის სურათი უკვე ნანახი მაქვს. როდესაც ჩვენმა თანამშრომელმა 14 ივნისს სტიქიური უბედურების შესახებ დუშეთის რაიონიდან შეგვატყობინა, მე და პრეწიდენიტის რწმუნებული ვასილ მაღლაფერიძე მცხეთაში ვიყავით, სადაც მხოლოდ ოდნავ წინწკლავდა.

გზაში, სანამ მისაქციელემდე მივიდოდით, გვეგონა, რომ ეს ყველაფერი ჩვეულებრივ წვიმაში გადაიზრდებოდა და მეტი არაფერი, მაგრამ შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. იმის თქმა, თითქოს, ციდან ვედროთი ასხამდნენ წყალს, არაფერს ნიშნავს. მაშინ მეგონა, ჟინვალის კაშხალი ცაში აუტანიათ და გადმონგრეულა-მეთქი. ელვაც კი უჩვეული სიძლიერის იყო. რამდენიმე წამით ყველაფერი ნათდებოდა. გზის გაკვლევას სწორედ ელვის შუქით ვახერხებდით.

**- თავად დუშეთში რა სურათი დაგხვდათ?**

- სანამ ქალაქ დუშეთის ცენტრამდე მივაღწევდით, ჩვენი მანქანის ბორბლები უკვე წყლით იფარებოდა. ქუჩები მოზრდილი მდინარეების კალაპოტებად იყო გადაქცეული. მოედანზე რომ მივედით, ქვემოთა მხრიდან, ერთ-ერთი სახლიდან ყვირილი ისმოდა, გვიშველეთ, ვიხრჩობითო. როდესაც სახლს მანქანის ფარები მივანათეთ, მისმა შუქმა წვიმის ფარდა ვერ გაარღვია, მიუხედავად იმისა, რომ ეს სახლი ოციოდე მეტრში იდგა. ვასიკო წყალში შევიდა და ღობე-ღობე ცდილობდა სახლთან მიახლოვებას, მე კი გამგეობის შენობაში გავიქეცი, იქნებ, თოკი ვიშოვო-მეთქი.

გაგრძელება A2 გვერდზე

# „სამთა კავშირის" მორიგი შეხვედრა

## ანუ, რამდენი წლისაა კალინინგრადი

ნიკა თარაშვილი

*კალინინგრადი კვირას სამი "მეგობრის" მორიგ შეხვედრას მასპინძლობდა. საფრანგეთისა და გერმანიის ლიდერები ვლადიმირ პუტინმა კალინინგრადის საიუბილეო დღესასწაულთან დაკავშირებით მიიპატიჟა ბალტიის სანაპიროზე არსებულ რუსულ ანკლავში. როგორც ბოლოდროინდელი უმაღლესი დონის შეხვედრების უმრავლესობა, გუშინდელი შეხვედრაც მომავალი "დიდი რვიანის" სამიტს და მასზე განსახილველ საკითხებს ეძღვნებოდა.*

გაგრძელება A4 გვერდზე



*კალინინგრად-კენინგსბერგის იუბილეზე მხოლოდ რუსეთის მეგობრები იყვნენ მიპატიჟებული.*

## ძირითადი პოლიტიკური ტენდენციები

*30 ივნისს, სასამართლოს შენობაში დაწყებული და შემდეგ რუსთაველის გამზირზე გაგრძელებული მოვლენები ის წყალგამყოფია, რომელმაც ჩვენს ქვეყანაში არსებული რამდენიმე ძირითადი პოლიტიკური ტენდენცია წარმოაჩინა.*

ნანა მაჭავარიანი

### ხელისუფლების საკომუნიკაციო სტრატეგია

საყოველთაოდ გავრცელებული აზრის თანახმად, სააკაშვილი და მისი მთავრობა "პიარის" ჯადოქრებად არიან მიჩნეულები, რომლებიც მედიას ოსტატურად იყენებენ საკუთარი აზრის საზოგადოებაზე თავსმოსახვევად, საკუთარ სიმართლეში ხალხის დასარწმუნებლად, წარუმატებლობის ყველაზე დიდ გამარჯვებად, წარმოსაჩენად და ა.შ.

სინამდვილეში კი ამ ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე სუსტი წერტილი სწორედ საკუთარი დღის წესრიგის, რეფორმების მიზნებისა და პოლიტიკური იდეების საზოგადოებამდე მიტანა აღმოჩნდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ხელისუფლება ფიქრობს, რომ იგი ფლობს უზენაეს ჭეშმარიტებას და, შესაბამისად, ამ ჭეშმარიტების კრიტიკულად განხილვის აუცილებლობაც არ არსებობს.

სამართალდამცველი სისტემის მოქმედება სამთავრობო კომუნიკაციის აშკარა ჩავარდნის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია. ამჯერად, კონკრეტული შემთხვევის სახით ე.წ. მოჭიდავეების საქმეს განვიხილავ, რომელიც, შესაძლოა, მტკიცებულებებით ერთ-ერთი ყველაზე გამაგრებული იყოს, მაგრამ მაინც ამდენი ვნებათაღელვა გამოიწვია. პოლიციამ რატომღაც გაიხსენა ძველი, კეთილი ტრადიცია და ეჭვმიტანილების დაკავების ყველა დეტალი აჩვენა: გამომძალველების საუბრიდან დაწყებული მათი მიწაზე გართხმით დამთავრებული (ამგვარი სცენები საზოგადოებაში განსაკუთრებულ უარყოფით გრძნობებს რომ აღძრავს, ეტყობა ხელისუფლებას დაავიწყდა). ცნობილი მოჭიდავეების გამოქომაგების შემდეგ, შსს-მ საზოგადოებაში ეჭვების გაქარწყლების მიზნით, მეორე დღეს კიდევ ერთი ჩანაწერი გამოამზეურა, სადაც დაკავებულები ფულის გამოძალვაზე უფრო ღიად საუბრობდნენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

## „მოჭიდავეთა საქმის" კრიმინალური კავშირები

*"მოჭიდავეების საქმის" გამო ატეხილი აჟიოტაჟი, 30 ივნისს რუსთაველის გამზირზე განვითარებული მოვლენები, უფრო ზუსტად, სპორტსმენთა მიერ გზის გადასაკეტად პიკეტის მოწყობა, ხელისუფლებამ კრიმინალების მიერ ციხიდან მართულ აქციად გამოაცხადა.*

*"ამ აქციას პირობითად "ჯღანას" გადასარჩენად" ერქვა. სამწუხაროდ, საქმე გვაქვს კრიმინალურ დაჯგუფებასთან. ყველამ კარგად იცის, რომ ეს აქცია გუშინ ციხიდან "კალატოზას" მიერ იმართებოდა," – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა გიგი უგულავამ. მსგავსი შინაარსის განცხადებები ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმაც გააკეთეს.*

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია 23 ივნისს შსს-ს სპეცოპერატიული დეპარტამენტის მიერ დაკავებული მოჭიდავეების გიორგი რევაზიშვილის - "ჯღანასა" და ალექსი დავითაშვილის საეჭვო კავშირების შესახებ. ფულის გამოძალვის ბრალდებით დაკავებული მოჭიდავეები, როგორც შსს აცხადებს, იმ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები არიან, რომელსაც ცნობილი "კანონიერი ქურდები" ხელმძღვანელობენ. შსს-ს ინფორმაციით, დანაშაულებრივ დაჯგუფებას სათავეში უდგას ყოფილი მოჭიდავე დავით ქარსელაძე, იგივე "კალატოზა", რომლის სახელთანაც დაკავშირდა დაკავებულთა საქმიანობა და გამართული საპროტესტო აქციაც.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შედგენილი აქვს სქემა, რომლის მიხედვითაც, "კალატოზა" კანონიერი ქურდების პატრონაჟით ფულს სძალავდა ბიზნესმენებს, სამარშრუტო ტაქსების მძღოლებსა და ბაზრის მოვაჭრეებს. სამართალდამცველთა მიერ შედგენილი სქემით "კალატოზას" კრიშები იყვნენ "კანონიერი ქურდები": რამაზ ჯინჭარაძე, ვახო ჩაჩანიძე, სულხან თვალჭრელიძე და ტარიელ ონიანი, რომლის მეუღლეც, დარეჯან ქარსელაძე, დავით ქარსელაძის, "კალატოზას" ახლო ნათესავია.

გაგრძელება A4 გვერდზე

## ქართველი ფერმერები ხორბლის იმპორტის აკრძალვას ითხოვენ

*მაშინ, როცა კახეთში ხორბლის მოსავლის აღება დასასრულს უახლოვდება, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, პარლამენტის აგრარულ კომიტეტთან ერთად, ადგილობრივი ფერმერების დასახმარებლად, საკანონმდებლო ბაზის დახვეწაზე მუშაობას იწყებს. თავად ფერმერები კი ქვეყანაში ხორბლის იმპორტის აკრძალვას ითხოვენ.*

მარიამ ჭაჭვაძე

ამას განსაკუთრებით კახელი ფერმერები მოითხოვენ, რადგან მათი ინფორმაციით, შესაძლოა, ქართულ ბაზარზე დიდი რაოდენობით უხარისხო ხორბალი შემოვიდეს. ეს კი, მათივე თქმით, ბაზარზე არსებული ხორბლის ფასს დასწევს.

კახელი ფერმერების ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას არც სოფლის მეურნეობის სამინისტრო და არც პარლამენტი არ აპირებს. მინისტრის მოადგილე კოტე ხუციძე განმარტავს, რომ ქვეყანაში ხორბლის იმპორტის აკრძალვა სავალალო შედეგებსა და ამ მარცვლეულზე სერიოზულ დეფიციტს გამოიწვევს.

მისი თქმით, წელს საქართველოში ხორბლის მოსავალი შარშანდელს ბევრად არ გადააჭარბებს. ეს დაახლოებით 180 ათასი ტონა იქნება, მაშინ, როცა ქვეყნის მოსახლეობის წლიური მოხმარება 800 ათასიდან 900 ათას ტონამდე მერყეობს.

**"ერთადერთი, რისი გაკეთებაც სამინისტროს შიდა ბაზრის დასაცავად შეუძლია, ის არის, რომ იმპორტზე გაიზარდოს განბაჟების ტარიფი, რაც მხოლოდ რამდენიმე თვის განმავლობაში შეიძლება გაგრძელდეს. სავარაუდოდ, ეს 6 თვეს გასტანს,"** - განაცხადა კოტე ხუციძემ.

კოტე ხუციძე ამბობს, რომ მისი სამინისტრო ამჟამად იმ კანონპროექტზე მუშაობს, რომელიც კახელ ფერმერებს სტიმულს მისცემს, რათა მათ პროდუქციის წარმოება გაზარდონ და მოწეული მოსავლის რეალიზაცია მოახდინონ.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ქართველი ფერმერები ხორბლის იმპორტის აკრძალვას ითხოვენ

პირველი გვერდიდან

ხორბლის იმპორტის აკრძალვას არც ექსპერტები უჭერენ მხარს, თუმცა ისინი ხელისუფლებას ამ სფეროში მოსალოდნელი საშიშროების შესახებ კიდევ ერთხელ აფრთხილებენ. პურ-პროდუქტების მწარმოებელთა ასოციაციის "გლობალ-აგროს" წარმომადგენელი თემურ კოპალეიშვილი ამბობს, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ბაზარზე იაფფასიანი ფქვილის იმპორტი არ შეიზღუდება, მაშინ ფერმერებს წლევანდელი ხორბლის მოსავლის რეალიზაცია გაუჭირდებათ, ხოლო წისქვილკომბინატებს გაჩერება ემუქრებათ. კოპალეიშვილის ინფორმაციით, დღეს მცირე სიმძლავრის წისქვილკომბინატების დიდი ნაწილი გაჩერებულია, დიდი წისქვილკომბინატები კი მხოლოდ 30-40-პროცენტიანი დატვირთვით მუშაობს. ამის მიზეზად თემურ კოპალეიშვილი ქვეყანაში ფქვილის კონტრაბანდის მასშტაბების გაზრდას ასახელებს. **"მართალია, საბაჟოზე დღეს, ფქვილის რეალურ ფასებში განბაჟება ხდება, მაგრამ ამან გამოიწვია ის, რომ ქვეყანაში კონტრაბანდა გაიზარდა. ვფიქრობთ, ხელისუფლებამ სწორედ ამ მიმართულებით უნდა იმუშაოს,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს თემურ კოპალეიშვილმა.

# ახალ კოდექსს საგადასახადო ინსპექტორებიც ვერ კითხულობენ

**"საგადასახადო კოდექსი დაჩქარებულ ტემპში მიიღეს. ამიტომ, საგადასახადო დეპარტამენტი იძულებული გახდა, სასწრაფოდ მოემზადებინა ის ინსტრუქციები, რომლებიც გადამხდელისა და გადასახადის ამკრეფის ურთიერთობებს მოაწესრიგებდა. ამიტომ, ვფიქრობ, საგადასახადო დეპარტამენტს ამ ინსტრუქციების ხარისხზე პასუხს ვერავინ მოსთხოვს. მართალია, საგადასახადო დეპარტამენტმა საკუთარ თანამშრომლებს უამრავი სარეკომენდაციო წერილი და განმარტებითი ბარათი დაურიგა, მაგრამ ამას პრობლემის სიმძიმე არ შეუმსუბუქებია - მეწარმეს ხშირად უჭირს საგადასახადო დეპარტამენტის მიერ გამოცემული დოკუმენტებით სარგებლობა. ამას ისიც ემატება, რომ საგადასახადო დეპარტამენტში სხვადასხვა უწყებიდან სხვადასხვა სახის დოკუმენტი იყრის თავს და, საბოლოოდ, საქმე აბსურდამდე მიდის,"** - აცხადებს ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ისაკაძე.

საგადასახადო ორგანოებს (საგადასახადო დეპარტამენტი და ადგილობრივი საგადასახადო ინსპექციები) უფლება აქვთ, დაამტკიცონ დამატებითი ინსტრუქციები და მეთოდური მითითებები, დეკლარაციები და სხვა ფორმები (საგადასახადო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი, 52-ე მუხლის "თ" და "ო" პუნქტები), რითაც ბიზნესი უფრო მეტი ბიუროკრატიული ბარიერის წინაშე დგება, - აცხადებენ ბიზნესმენთა ფედერაციაში.

ბიზნესმენი, აღრიცხვიანობისა და ანგარიშების ასეთი სისტემის გამო, რეალურის ნაცვლად, რუტინული საქმიანობით არის დაკავებული. ხშირად ახალ საგადასახადო კანონმდებლობაში არსებული ბუნდოვანი დებულებები საგადასახადო ინსპექციებსაც კი დიდი გაურკვევლობის წინაშე აყენებს. ისინი, მეტწილად, ისეთ განმარტებებს იღებენ, რაც საკითხს საგადასახადო ინსპექციის სასარგებლოდ წყვეტს. მაგალითად, ჩააბაროს თუ არა ისეთმა გადასახადის გადამხდელმა დღგ-ს დეკლარაცია საგადასახადო ინსპექციაში, რომელიც ფაქტობრივად, ასეთ საქმიანობას არ ეწევა, მაგრამ დღგ-ს სერტიფიკატი აქვს და ა.შ.

ბიზნესმენთა ფედერაციამ იმ მუხლების ჩამონათვალიც მოამზადა, რომლებიც ორმაგი ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა. წერილები სხვადასხვა უწყებას დაეგზავნა, თუმცა რეალური შედეგი ბიზნესმენთა მხრიდან საგადასახადო კოდექსის ავკარგიანობაზე მსჯელობას ჯერ არ მოჰყოლია.

კოდექსის 22-ე მუხლის მიხედვით, ზუსტად არ არის განსაზღვრული, რა შემთხვევაში შეუძლია საგადასახადო ინსპექციას, დაბეგვრის დროს, გარიგების ფასის ნაცვლად, "საბაზრო ფასის" გამოყენება. მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მას ამის საშუალება ნებისმიერ შემთხვევაში აქვს.

ასევე, არ არის განსაზღვრული, საბაზრო ფასიდან როგორი გადახრის პირობებში აქვს საგადასახადო ინსპექციას გარიგების ფასის რევიზიის უფლება. მსგავსი ნიუანსები საგადასახადო ინსპექტორს მოქმედების სრულ თავისუფლებას ანიჭებს და კორუფციისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის.

აღნიშნული მუხლი მეწარმის მიერ ბაზრის კონიუნქტურისა თუ თავისი მარკეტინგული პოლიტიკის შესაბამისად საკუთარი ფასების რეგულირების პრინციპს სრულიად უგულებელყოფს.

მაგალითად, 208-ე მუხლში არასწორადაა წარმოდგენილი მოგების გადასახადის დეკლარაციაში საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთებთან დაკავშირებით, რაც გადამხდელებს მნიშვნელოვნად დააზარალებს. გარდა ამისა, საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციით გათვალისწინებულია გაცემის წყაროსთან დაუბეგრავი პროცენტების ჩვეულებრივ რეჟიმში დაბეგვრა, რასაც კოდექსი არ ითვალისწინებს და წინააღმდეგობაში მოდის კოდექსის 218-ე მუხლთან.

არც დღგ-ს დეკლარაციებში და არც მის დანართებში არ არის მითითებული გადამხდელის მიერ თანამშრომლებისთვის საქონლის მიწოდების შემთხვევები (კომპენსაციით ან მის გარეშე), რაც აუცილებელია, რადგან, ამ შემთხვევაში, დღგ საბაზრო ფასიდან იანგარიშება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# თბილისი-მესტიის მიმართულებით რეგულარული რეისები დაინიშნა

გუშინ მესტიის აეროდრომზე უკრაინული წარმოების თვითმფრინავი "ელ-28" პირველად დაეშვა. ამიერიდან, 18-ადგილიანი მცირე მოცულობის ხომალდი თბილისი-მესტიის მიმართულებით რეგულარულ რეისებს ყოველ სამშაბათსა და ხუთშაბათს, თბილისის 31-ე ქარხნის აეროდრომიდან განახორციელებს. სვანეთის მიმართულებით რეგულარული რეისების ორგანიზება, საქართველოს ეკონომიკური განვითარების ყოფილი მინისტრის ინიციატივით განხორციელდა. ალექსი ალექსიშვილი დიდი ხნის განმავლობაში აწარმოებდა მოლაპარაკებებს უკრაინულ მხარესთან და უკრაინის სახალხო დეპუტატის ანატოლი ლოვინის მხარდაჭერით იდეა რეალობად იქცა. ამავდროულად, ეკონომიკური განვითარების ექსმინისტრი მოლაპარაკებას აწარმოებდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან, რათა მგზავრობის ღირებულება სვანეთის მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო. ამ ეტაპზე მგზავრობის ღირებულების 70 პროცენტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება, ხოლო მგზავრებისათვის ბილეთის ფასი 30 ლარით განისაზღვრა.

თბილისი-მესტია-თბილისის საჰაერო რეისის პირველი მგზავრები საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე, უკრაინის სახალხო დეპუტატი ანატოლი ლოვინი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიგი უგულავა, პარლამენტარი მაია ნადირაძე, ასევე, ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და მასმედიის წარმომადგენლები იყვნენ.

საგულისხმოა, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის რანგში ირაკლი ჩოგოვაძის პირველი რეგიონული ვიზიტი სწორედ მესტიაში შედგა, სადაც, რამდენიმე ათეული წლის წინ, მისმა დიდმა ბაბუამ პირველი ფრენა განახორციელა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და განათლების სამინისტროების ინიციატივით, დღესვე, მესტიელ მოსწავლეებს საჩუქრად კომპიუტერული ტექნიკა და წიგნები გადაეცემათ.

*24 საათი*

# კონტრაბანდული თამბაქო კვლავ აქტუალურია

ახალი საგადასახადო კოდექსით აქციზის განაკვეთების გაზრდას თამბაქოს ადგილობრივი წარმოების გაჩერება მოჰყვა. ისეთ პირობებში, როდესაც თამბაქოს მოხმარება თითქმის უცვლელია და დღე-ღამეში 800 ათას კოლოფს აღწევს, იმპორტი არ გაზრდილა, ადგილობრივი წარმოება კი თითქმის გაჩერებულია და ექსპორტი არ ხორციელდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ლეგალურ პროდუქციას ე.წ. "კონტრაბანდული" პროდუქცია ჩაენაცვლა. რაკი "კონტრაბანდული" სიგარეტის უდიდესი წილი რუსულია, ქვეყნის ასეთმა საგადასახადო პოლიტიკამ, ძირითადად, რუსეთიდან შემოტანილი კონტრაბანდული სიგარეტის რაოდენობის ზრდა გამოიწვია.

მიმდინარე წლის იანვარ-მარტში ადგილობრივი წარმოების თამბაქოდან ბიუჯეტში მობილიზებულმა აქციზის გადასახადმა 7 მილიონი ლარი შეადგინა, მაშინ, როცა გასული წლის კვარტლებში ეს მაჩვენებელი 10 მილიონ ლარზე ნაკლები არ ყოფილა.

ადრე მოქმედი განაკვეთების პირობებში, როდესაც რუსეთში წარმოებული სიგარეტი, რომელზედაც გაწეული იყო წარმოებისა და ტრანსპორტირების ხარჯები, უკონტროლო საზღვრების გამო, კონკურენციას ადგილობრივი წარმოების იმავე კლასის სიგარეტს (საბაჟო საზღვარზე დაუბეგრაობის გამო) უწევდა. ასეთ პირობებში აქციზის განაკვეთების გაზრდა გაუმართლებელია. საჭიროა ქვეყნის საბაჟო საზღვრების მკაცრი კონტროლი, რაც ჩვენს პირობებში, აფხაზეთსა და ოსეთის ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენათა გამო, პრაქტიკულად, შეუძლებელია. თუმცა, შესაძლებელია ეკონომიკური რეგულირება აქციზის განაკვეთების იმ დონემდე დაწევით, რომ საზღვარგარეთ წარმოებული ზემოაღნიშნული სახის თამბაქოს შემოტანა აზრს კარგავდეს.

*24 საათი*

# სტიქიასთან მებრძოლი რეგიონი

პირველი გვერდიდან



გამგეობაში არავინ დამხვდა, ყველა სტიქიასთან საბრძოლველად, ადგილებზე იყო გასული. სხვათა შორის, თავის ძმასთან მყოფმა დუშეთის გამგებელმა ორი წლის ბავშვი ძლივს გამოსტაცა წყალს. მატერიალური თვალსაზრისით, ყველაზე მეტად სწორედ გამგებლის ძმის ოჯახი დაზარალდა, - სოფელ ბოდორნაში 30-მდე ძროხა დაეხრჩო, თავისი მსუბუქი და "კოკა-კოლა"-სგან ნაქირავები სატვირთო მანქანა კი მოვარდნილმა წყალმა წყალსაცავში ჩაიტანა...

ის ქალბატონი, რომელიც შველას ითხოვდა, გუბერნატორმა სახლიდან ზურგით გამოიყვანა. ეს ყველაფერი ღამე ხდებოდა, დილით ჩვენს თვალწინ აპოკალიფსური სურათი გადაიშალა. ფილმებში, რომ მინახავს დაბომბილი ქალაქები, იმის ასოციაცია გამიჩნდა. დუშეთის ხევის ყველა ხიდის ბურჯები გამოჭედილი იყო ჩამონატანი მორებით და ნაგვით, ხევის კალაპოტი თითქმის 1,5-2 მეტრ სიმაღლემდე ამოვსებული იყო ლოდებით, მოგლეჯილი ნაპირსამაგრი ლოდებით, ხრეშით და ლამით, რაც საშუალო სიმძლავრის წვიმის პირობებშიც კი კატასტროფულ შედეგებს გვიქადდა. არადა, ამინდის პროგნოზით, კვლავაც თავსხმა წვიმები იყო მოსალოდნელი. მაშინვე დაისახა პირველადი გადაუდებელი ღონისძიებების გეგმა. ყველაზე მეტად მძიმე ტექნიკის ნაკლებობა იგრძნობოდა. პირველ დღეებში დუშეთში მხოლოდ "საქნავთობის" მიერ გამოგზავნილი ერთი მძიმე ტრაქტორი გვეხმარებოდა. ამ მხრივ მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა დუშითში პრემიერ-მინისტრისა და განსაკუთრებით, პრეზიდენტის ვიზიტის შემდეგ.

სტიქიის შემოტევის დღეებში ოცდაოთხსაათიანი რეჟიმით მობილიზებული იყო მთელი სამხარეო პოლიცია, ადგილობრივი ძალები, რეზერვისტთა და მოხალისეთა ჯგუფები, რომლებიც, ჩვენთან ერთად, ძალ-ღონეს არ იშურებდნენ ადამიანთა სიცოცხლისა და ქონების გადასარჩენად. მუშაობდა რამდენიმე სახანძრო მანქანა, ორიოდე მსუბუქი ტრაქტორი. ადგილობრივი ტექნიკის მნიშვნელოვანი ნაწილი (ამწე, ბულდოზერი) მოვარდნილმა წყალმა წაიღო.

**- როგორია რაიონისთვის მიყენებული მატერიალური ზარალი?**

- მატერიალური ზარალის დაანგარიშება, პრაქტიკულად, შეუძლებელია. 350-400 სახლის პირველი სართულები მთლიანად დაიტბორა. მოგეხსენებათ, მოსახლეობა, ძირითადად, პირველ სართულზე ცხოვრობს და მთელი თავის ქონება იქ აქვს. ტელევიზორები, მაცივრები, ჭურჭელი, ავეჯი ან წყალმა წაიღო, ან გამოუსადეგარი გახადა. 30-მდე სახლი მთლიანად დაინგრა და საცხოვრებლად აღარ ვარგა. სადაც ეს სახლები იდგა, ახალი აღარ უნდა აშენდეს, - თავის დროზე, ისინი ხევებისა და მდინარეების კალაპოტებში ჩადგეს.

**- მთავრობა რითი დაეხმარა დაზარალებულ მოსახლეობას?**

- სტიქიური უბედურების პირველი წუთებიდანვე ცენტრალური ხელისუფლება საქმის კურსში იყო. შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილი უკვე ერთ საათში ადგილზე ამოვიდა და რამდენიმე მანქანით მაშველთა რაზმები ამოიყვანა. რაც მთავარია, ამოიტანეს ტუმბოები, რომლებმაც პირველი სართულებიდან წყლის ამოსატუმბად პირდაპირ სულზე მოგვისწრო. დიდი შეღავათი იყო ისიც, რომ რამდენიმე საათში თავდაცვის სამინისტრომ 10 სამხიდიანი "კამაზი" გამოგზავნა. ამ მანქანებით ხალხმა ქონების ნაწილის გადარჩენა მოახერხა. პრემიერ-მინისტრი განუწყვეტლივ რეკავდა, არსებული სიტუაციით ინტერესდებოდა და აუცილებელ დახმარებას გვიწევდა. მეორე დილით ზურაბ ნოღაიდელი თავად ამოვიდა, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ჯგუფი შექმნა და სათანადო განკარგულებები გასცა. როგორც უკვე ვთქვი, დაზარალებული რეგიონი 18 ივნისს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმაც მოინახულა. იმავე საღამოს გამოინახა სამშენებლო ორგანიზაცია, რომელმაც უსწრაფესად შეძლო ქალაქ დუშეთში მძიმე ტექნიკის მობილიზება და ხევის კალაპოტისა და სანიაღვრე კოლექტორის გაწმენდა და აღდგენა დაიწყო... იმ პერიოდში ძალიან დიდი საფრთხე შეექმნა თბილისის წყალმომარაგებასაც, რადგან ჟინვალიდან გამომავალი გვირაბი ხრეშით და ნატანით დაიფარა. ორი კვირის განმავლობაში დედაქალაქს არაგვის წყალი აღარ მიეწოდებოდა.

**- დუშეთის გარდა, მცხეთა-მთიანეთის მხარეში სხვა რაიონებიც თუ დაზარალდა?**

- 14 ივნისის წყალდიდობამ სხვა ყველაფერი გადაფარა, თორემ მანამდე რეგიონმა უზარმაზარი ზარალი ნახა. თიანეთში, ახალგორში, ფშავ-ხევსურეთში და კიდევ უამრავ სხვა ადგილას სტიქიამ მთლიანად მოსპო გზები, დააზიანა ელექტროგადამცემი ხაზები, მათი საყრდენი ბოძები წააქცია... ყველაზე სამწუხარო მაინც ის არის, რომ მომხდარს უმსხვერპლოდ არ ჩაუვლია და ორი ადამიანი დაიღუპა.

**- აღმასრულებელ ხელისუფლებაში მუშაობის გამოცდილება არც თქვენ და არც გუბერნატორ ვასილ მაღლაფერიძეს არ გაგაჩნდათ, რამდენიმე თვის წინათ ორივენი "ახალ სამყაროში" აღმოჩნდით. უკვე მოასწარით ადაპტაცია?**

- ვასილ მაღლაფერიძე უკვე დიდი ხანია პოლიტიკაშია. მას საპარლამენტო საქმიანობის დიდი გამოცდილება აქვს. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ თავად პრეზიდენტის რწმუნებულის ინსტიტუტი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია და როგორც საკანონმდებლო, ისე ფუნქციების გადანაწილების თვალსაზრისით, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასახვეწი. ამ სფეროსთან აქამდე მე საერთოდ არ მქონია შეხება. თუმცა, ვასიკოს გამოისობით, ახალ საქმეს საკმაოდ რომანტიკული განწყობით შევუდექი, - სტუდენტობიდან მოყოლებული, მცხეთა-მთიანეთი ჩვენთვის უსაყვარლეს მხარეს წარმოადგენდა. ხალხთან ახლოს ყოფნა, მათი ჭირ-ვარამის გაგება და გაზიარება, ქალაქური რუტინისთვის თავის დაღწევა, - დაახლოებით ამ იდეებით შეპყრობილი შევუდექი სამსახურს. საბედნიეროდ, ასეთი უბედურება ყოველ წელს არ ხდება, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ ჩასვლისთანავე სტიქიასთან ბრძოლაში აღმოვჩნდით და ზვავებთან, მეწყერებთან თუ წყალდიდობებთან მოგვიხდა ჭიდილი. ყველამ კარგად ვიცით, როგორ გაჭირვებაში იმყოფება ქვეყანა. ელექტრომომარაგება, გათბობა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დროულად დამუშავება, ტექნიკის ნაკლებობა, - ცხოვრება ყოველ დილას ახალ-ახალ გამოცდას გვიწყობს. ისე, ექსტრემალურ სიტუაციებში ადამიანების შეცნობა უფრო ადვილია. ასეთი "სიამოვნება" კი განვლილ ოთხ თვეში ნამდვილად არ მოგვკლებია. ამ თემას ვერც ინტერვიუში ამოვწურავთ და სრულყოფილად ვერც ტელეკამერები ასახავენ.

**- პოლიტიკა ინტრიგების გარეშე წარმოუდგენელია. მტერი და მომჩივანი, ალბათ, არც პერიფერიაში გაკლიათ. ზოგიერთ გაზეთში იყო ინფორმაცია, თითქოს, მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი არაფერს აკეთებს და მთელ დღეებს რესტორნებში ატარებს. ისეთი ენერგიული ადამიანები, როგორც თქვენ და ვასილ მაღლაფერიძე ბრძანდებით, მხართეძოზე წამოწოლილები ცოტა ძნელი წარმოსადგენი ხართ.**

- რბილად რომ ვთქვა, ასეთი შეფასებისთვის ცოდოები ვართ... ყველაფერი, რის გაკეთებასაც მოკლე დროში ვგეგმავდით, გასაგები მიზეზების გამო, შეიძლება, ვერ შევასრულეთ, მაგრამ ხელშესახები შედეგებიც გვაქვს. მარტო მცხეთის მიდამოებში სახელმწიფოს დავუბრუნეთ უკანონოდ მიტაცებული 150 ჰექტარზე მეტი ძვარდღირებული მიწის ფართობი. ეს პროცესი დღესაც გრძელდება. მოსახლეობისთვის ამ ფაქტზე უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სამარშრუტო ტაქსებისა და ავტობუსებით მგზავრობის საფასურის გაიაფება, დუშეთამდე მგზავრობა 50 თეთრით, მცხეთიდან თბილისამდე ჩასვლა კი - 30 თეთრით. მნიშვნელოვნად ვთვლი იმასაც, რომ ყაზბეგის რაიონის მოსახლეობას დღესაც მიეწოდება ბუნებრივი გაზი, მაშინ, როდესაც 15 მაისიდან უნდა გამორთულიყო. ამაზე მთელი ომი გადაგვხდა... პრეზიდენტის საჩუქრად წოდებული 20 ლიტრი დიზელის საწვავი ყაზბეგის რაიონში გაზაფხულზე უგზობის გამო ვერ გადავიტანეთ. გარდა ამისა, ყველა საკრებულოდან მოგვივიდა მოთხოვნა, რომ დიზელის საწვევის ღირებულულება გაზის საფასურში ჩათვლოდათ. უმოკლეს ვადებში ამგვარი პრობლემების დროულად მოგვარება არც ისე ადვილი საქმეა. ამას დაერთო წყალდიდობა დუშეთში, რომლის შედეგების ლიკვიდაციამ დიდი რაოდენობის საწვავის საჭიროება წარმოშვა. ვინაიდან სათანადო რესურსი ადგილზე არ არსებობდა, საქმე კი გადადებას არ ითმენდა, ყაზბეგის რაიონის მოსახლეობისთვის განკუთვნილი დიზელის საწვავი სტიქიის შედეგების ალმოფხვრას მოხმარდა. სამაგიეროდ, მისი საფასური ყაზბეგის რაიონის ბუნებრივი აირით მომარაგებისთვის გადაირიცხა. ამან შესაძლებლობა მოგვცა, ზაფხულის პერიოდში ყაზბეგისთვის გაზი მიგვეწოდებინა...

**- რესტორნებში ქეიფზე ჯერ არაფერი გითქვამთ...**

- პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატს ერთი მანქანა ემსახურება, რომლითაც, განვლილ ოთხ თვეში, რეგიონში 20 ათას კილომეტრზე მეტი გავიარეთ. სიარული, თავისთავად, დასაძრახი არ არის... ახლაც, მაგალითად, ამ კვირა დღეს, ჩვენი საუბრისას, ვასილ მაღლაფერიძემ, საგზაო დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, რომან დალაქიშვილთან ერთად, შემოიარა ბარისახო, გუდამყრის ხეობა, წინა და უკანა ფშავი, ყაზბეგის რაიონი, გზებისა და ხიდების მდგომარეობას სწავლობენ, უკვე სამშაბათიდან ფართო მასშტაბის აღდგენითი სამუშაოები უნდა დაიწყოს. საჭირო თანხები მთავრობის მიერ გამოყოფილია....

**- რესტორნები...**

- ისე, თუ დაბრალებაა, სხვა რამეს, ისევ რესტორნებში სიარულის დაბრალება ჯობია. "სამწუხარო" ის არის, რომ საამისო დრო არ გვრჩება... კიდევ კარგი, ისეთ რამეებს ვერ გვაბრალებენ, რაც ახლა "მოდაშია". ისიც კი დაუწერიათ, დუშეთში ჩამოსულ პრეზიდენტს ვასილ მაღლაფერიძე იმიტომ ვერ შეხვდა, რომ ამ დროს რესტორანში იჯდაო. არადა, ღმერთი-რჯული, - დილიდან ფშავში იყო წალეკებული გზებისა და ხიდების დასათვალიერებლად გადასული. სატელეფონო კავშირის უქონლობის გამო, ველარ დავუკავშირდით. სხვათა შორის, "მაგთისთან" მოლაპარაკება უკვე შედგა და ამ ზაფხულს ფშავ-ხევსურეთში მობილური კავშირი ჩაირთვება...

**- მაშინ, ამ ჭორებს ვინ ავრცელებს?**

- ხომ იცით, "ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი". როდესაც რეგიონში ჩავედით, ადგილზე დაგვხვდა პარტიული თუ არაპარტიული, პიროვნული თუ პოლიტიკური ნიშნით დაპირისპირებული ძალები. იყო მოლოდინი, რომ ვიღაც-ვიღაც პერსონების მიმართ წინასწარ დაგეგმილ და მოფიქრებულ ცალსახა პოზიციას დავიკავებდით. ჩვენთვის კი, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის, მთავარი პრიორიტეტია, კაციც და უწყებაც საქმის მიხედვით შეფასდეს. ასეთმა მიდგომამ, შესაძლოა, ვიღაცეები გააღიზიანა და ძველი დაპირისპირებების კუდებთან ჩვენი მიბმაც მოინდომეს. სხვათა შორის, ჩვენთვის ერთ-ერთი საკმაოდ ძნელად გადასატანი მომენტი ისიც არის, რომ რადგან საჯარო პირი გვქვია, უსაფუძვლო შეურაცხყოფებს ვითმენთ.

**- ამ წუთას დუშეთიდან დარეკეს, ისევ თავსხმა წვიმაა და ქუჩებში მდინარეები მოდისო (საბედნიეროდ, წვიმამ მალევე გადაიღო და დუშეთის ხევის ახლადგაწმენდილმა კალაპოტმა წყალი მთლინად გაატარა. თუმცა, ეზოები მაინც დაიტბორა). ინტერვიუ წყალდიდობაზე საუბრით დავიწყეთ და ამავე თემით დავასრულოთ. სახელისუფლებო სტრუქტურების გარდა, ადგილობრივ მოსახლეობას კიდევ ვინ ამოუდგა მხარში?**

- დუშელების გასაჭირო ბევრმა კერძო პირმა, უწყებამ თუ ორგანიზაციამ მიიტანა გულთან ახლოს. რაიონის მოსახლეობამ მათგან ჰუმანიტარული დამარება მიიღო და დღესაც ღებულობს. სახელმწიფო დანგრეული სახლების პატრონებს ხუთ-ხუთ ათას ლარს უხდის. სტიქიის შედეგების აღმოსაფხვრელად მთავრობის მიერ 200 ათასი ლარი გამოიყო. შინაგან საქმეთა სამინისტროდან ამოიტანეს ფქვილი, კონსერვები, ტანსაცმელი, ლეიბები... სახალხო დამცველის აპარატმა ბრინჯი, შაქარი და ტანსაცმელი გამოგზავნა. ძალიან დაგვეხმარა საპატრიარქო, ორგანიზაცია "კათარზისი", ვეტერანთა საქმეების დეპარტანეტი. წითელი ჯვრის ორგანიზაციამ დაზარალებულ მოსახლეობას კარვები, ლეიბები და პლედები გამოუგზავნა. დახმარებები გამოგზავნეს საფრანგეთისა და გერმანიის საელჩოებმა. დაზარალებულებულთათვის რამდენიმე კერძო სკოლაში ბავშვებმა ფული შეაგროვეს. ეს თანხა, მართალია, მცირეა, მაგრამ ჩვენ მაინც ძალიან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია. სხვათა შორის, ზოგიერთი დახმარება გამგეობის კომისიაში დაფიქსირებული არც არის, - ქველმოქმედებმა თავისი ვინაობის გამჟღავნება არ ისურვეს და თავად დაურიგეს მოსახლეობას დახმარება. პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატის სახელით, თანადგომისთვის ყველას დიდ მადლობას მოვახსენებ.

*ესაუბრა გიორგი ასანიშვილი*

## მოკლედ

### ნინო ბურჯანაძე კონდოლიზა რაისს შეხვდა

ამერიკის შეერთებული შტატებისთვის მნიშვნელოვანია საქართველოში დემოკრატიული განვითარების პროცესები და ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება. ამის შესახებ, აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან, ნინო ბურჯანაძესთან ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში შეხვედრაზე განაცხადა.

"მნიშვნელოვანია პარლამენტის როლის გაძლიერება. თუ ქვეყანა ნატო-ში გაწევრიანებისათვის მზად არის, ამ პროცესში კონფლიქტები არ უნდა იყოს ხელისშემშლელი. საქართველოში კონფლიქტები უნდა მოგვარდეს და ამას აშშ აქტიურად დაუჭერს მხარს," - განაცხადა კონდოლიზა რაისმა.

ნინო ბურჯანაძის გაცხადებით კი, საქართველოში დემოკრატიის გაძლიერება გავლენას იქონიებს კავკასიის რეგიონში დემოკრატიის განვითარებაზე. "ქვეყანაში არსებულმა კონფლიქტებმა საქართველოს ნატო-სთან ინტეგრაციაში ხელი არ უნდა შეუშალოს. ჩვენი მთავარი მიზანი სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებაა," - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ რაისთან საუბარისას.

სენატორმა რიჩარდ ლუგარმა ნინო ბურჯანაძეს სენატის მხარდაჭერა აღუთქვა. "სენატი აქტიურად იმუშავებს საქართველოსთვის მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარების კუთხით და კიდევ უფრო გააქტიურებს თანამშრომლობას საქართველოს საკანონმდებლო ორგანოსთან," - აღნიშნა მან.

აშშ-ში ვიზიტისას ნინო ბურჯანაძე უკვე შეხვდა კოლინ პაუელს, მადლენ ოლბრაიტს, სენატორებს, კონგრესმენებს. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე კარნეგი ჰოლში, 100-ზე მეტი სენატორის, კონგრესმენის, ჟურნალისტებისა და ქართული დიასპორის წარმომადგენლების წინაშე სიტყვით გამოვიდა.

ნინო ბურჯანაძე ვაშინგტონში აშშ-ს ოფიციალურ პირებს ხვდება. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს მაღალი დონის შეხვედრები აქვს თეთრ სახლში, პენტაგონში, სახელმწიფო დეპარტამენტში, სენატში, წარმომადგენელთა პალატაში. **ინტერპრესნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ოპოზიციური პარტიები ხელისუფლების უკანონო ქმედებების წინააღმდეგ საბრძოლველად საკოორდინაციო საბჭოს შექმნას არ გამორიცხავენ.

"ჩვენ ბრძოლის შეჩერებას და ხელისუფლების უკანონო ქმედებებთან შეგუებას არ ვაპირებთ," - აღნიშნა "კონსერვატიული პარტიის" ერთ-ერთმა ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა.

მისი განცხადებით, უახლოეს დღეებში ოპოზიცია შეიკრიბება და კონკრეტულ სამომავლო გეგმებს დასახავს.

ძიძიგურის აზრით, ოპოზიციური პარტიების ურთიერთთანამშრომლობა გარდაუვალია, რადგან ყველა ოპოზიციურ პარტიას ხელისუფლების ნებისმიერი უკანონო ქმედება ერთნაირად აღიზიანებს.

ძიძიგურის თქმით, ხელისუფლების მიერ ძალადობის დამკვიდრების მცდელობას ოპოზიციური პარტიები წინ უნდა აღუდგნენ. "ჩვენი თანამშრომლობა ერთი მიტინგის ჩატარებით არ შემოიფარგლება. პარტიებს შორის დიალოგი გაგრძელდება," - აღნიშნა მან. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გვარდიის რეზერვისტთა მე-14 ბატალიონი 4 ივლისს საწვრთნელ-საცეცხლე მომზადების ჩვენებას მოაწყობს.

როგორც ეროვნული გვარდიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განაცხადეს, საწვრთნელ-საცეცხლე მომზადების ჩვენება-შეფასება ყვარლის რაიონის სოფელ შაქრიანში გაიმართება, სადაც განთავსებულია მე-14 ბატალიონი.

სწავლებაში ჩართული იქნება ბატალიონის პირადი შემადგენლობა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი ოპოზიციურ პარტიებს წინასაარჩევნო სტრატეგიასა და საარჩევნო კამპანიების წარმოების მეთოდოლოგიას შეასწავლის.

ბაკურიანში, გუშინ, სასტუმრო "ვერე პალასში" საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის "IRI"-ის ორგანიზებით, "კონსერვატიული პარტიის" რაიონული და რეგიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელებისთვის სემინარი გაიმართა. სემინარი პარტიის წინასაარჩევნო სტრატეგიასა და საარჩევნო კამპანიების მეთოდოლოგიის საკითხებს შეეხება.

სემინარი ორდღიანია. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "რესპუბლიკური პარტიის" წარმომადგენელი დავით ბერძენიშვილი ხელისუფლებას აეროპორტის ტენდერთან დაკავშირებით არასახელმწიფოებრივ მიდგომაში ადანაშაულებს.

აღნიშნული განცხადება ბერძენიშვილმა მას შემდეგ გააკეთა, რაც გავრცელდა ინფორმაცია, "ჯი-თიეს"-ის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, თბილისის აეროპორტის მშენებლობის გაჭიანურების შესახებ.

ბერძენიშვილის განცხადებით, ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ აეროპორტის ტენდერი არ იყო გამჭვირვალე პროცესი და არაფორმალურ გარიგებებში ცვლილებები შედის.

"ხელისუფლების წარმომადგენლები, როგორც მეკობრეები, ისე ექცევიან საკუთარ ქვეყანას," - აღნიშნა მან.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# მოჭიდავეების ბუნტი:

## ვის რა შეეშალა და მომავალში ვის რა უნდა ქნას

პირველი გვერდიდან

*მოჭიდავეების ბუნტი: რას აბრალებენ ხელისუფლებას?*

თუ არ ჩავთლით თვით მოჭიდავეების მტკიცებებს, რომ მათ კოლეგებს არაფერი დაუშავებიათ (ვილას ახსოვს დღეს მოჭიდავეები?), ამ დღეებში ხელისუფლების მიმართ გამოთქმულ პრეტენზიებს, რომელიც მე გავიგონე, რამდენიმე პუნქტად ჩამოვაყალიბებ.

რატომ არის ხელისუფლება გატაცებული "სატელევიზიო დაპატიმრებებით"? ამით ის უდანაშაულობის პრეზუმპციას არღვევს და საზოგადოებაში კონფრონტაციულ გარემოს ქმნის.

პირადად მეც ვთვლი, რომ ხელისუფლება ამ მხრივ – ისევე როგორც მისი "პიარ-სტრატეგიის" სხვა ასპექტებში – ამლაშებს. თუმცა, მასაც აქვს ანგარიშგასაწევი არგუმენტი: ის მიიჩნევს, რომ მისი მიზანია არა მხოლოდ კონკრეტული დამნაშავეების დაპატიმრება, არამედ მთელი საზოგადოების გულისა და გონების მოგება; ის მიიჩნევს (ჩემი აზრით, სწორად), რომ კანონის უზენაესობის ძირითადი წინაღობა ჩვენში ფართოდ გავრცელებული "გაგებაა", რომლის თანახმადაც სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობა "გრეხია", რომ კანონისგან გადახვევა "შენიანის" ინტერესებში "კაცური" საქციელია. მეორე პრობლემაა საზოგადოების ცინიზმი: რწმენა, რომ ამ ქვეყანაში კორუფციას ან დამნაშავეობის სხვა ფორმებს არასოდეს არაფერი ეშველება, ხოლო ხელისუფლების აქტივობა ამ მიმართულებით დროებითია. საჭიროა თუ არა ბრძოლა მასობრივ ცნობიერებაში გარდატეხის მოსახდენად, და თუ კი, კონკრეტულად როგორ? ამ საკითხებზეც კონკრეტული პასუხები უნდა გვქონდეს. რაც შეეხება მოჭიდავეებს, ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ ცოტა ხნის წინ "ეროვნულ გმირებად" შერაცხული ფალავნების დაპატიმრება არ მოქცეულიყო პრესის ყურადღების ცენტრში, ამიტომ გულუბრყვილოა, სიტუაციის გამწვავება ხელისუფლების ინფორმაციულ პოლიტიკას დავაბრალოთ.

რატომ არ აღკვეთა პოლიციამ დებოში უზენაეს სასამართლოში?

ეს შენიშვნა აბსოლუტურად სამართლიანია. ამავე დროს მგონია, რომ აქ უფრო გამოსაყენებელია ნაწილაკი "ვერ": ვერ აღკვეთა, რადგან მზად არ იყო. ცხადია, სამართალდამცავების მიერ გამოჩენილ უსუსურობას არ უნდა შევეგუოთ და ის მკაცრად უნდა გავაკრიტიკოთ. მაგრამ პრობლემა უფრო ფართოა და მოცემული ეპიზოდით არ ამოიწურება. სასამართლო საქართველოში საზოგადოდ დაუცველია, შესაბამისად, ამ სფეროში ზოგადი რეფორმებია გასატარებელი. ცხადია, ხელისუფლება პასუხს აგებს ამ ზოგად სიტუაციაზე, მათ შორის იმითაც, რომ სასამართლოს მიმართ უპატივცემულობას თავადაც იჩენს. იმედია, ამ ეპიზოდს ერთი პოზიტიური შედეგი მაინც ექნება და სახელმწიფო ამ პრობლემას მიხედავს. მაგრამ ძნელია ხელისუფლებას დასწამო, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს დებოშისაგან ვერდაცვა მისი ბოროტი განზრახვის შედეგი იყო.

რატომ შეხვდა მერაბიშვილი მოპროტესტეთა წარმომადგენლებს – და თუ შეხვდა, რატომ ვერ მიაღწია შედეგს?

ეს ბრალდება, ერთი მხრივ, ოპოზიციისგან ისმის ("წარუმატებელმა მოლაპარაკებამ ხელახალი გამწვავების პროვოცირება მოახდინა"), მეორე მხრივ კი - ხელისუფლებაზე უფრო რადიკალებისგან (საერთოდ, რატომ უნდა შეხვიდე დიალოგში კრიმინალური ცნობიერების მატარებლებთან?). ორივე მხრიდან ეს კრიტიკა გაზვიადებულია. კონფლიქტის მოლაპარაკების გზით გადაწყვეტის მცდელობა მისასალმებელია, მაგრამ მოლაპარაკებაზე წასვლა არ ნიშნავდა, რომ მინისტრს პრინციპულ საკითხზე დათმობა გაეკეთებინა.

რატომ დაშალა პოლიციამ საპროტესტო აქცია იარაღის ძალით (ახლანდელი ხელისუფლება რომ ოპოზიცია იყო და ქუჩებს კეტავდა, კარგი იყო)?

ეს ამ შემთხვევაში საკვანძო საკითხია და მასზე პასუხი არც ისე იოლია, როგორც ორივე ემოციებს აყოლილ მხარეს ჰგონია. როცა ხელისუფლების ზოგი წარმომადგენელი თვით შეკითხვის დასმაზე აალდება: კრიმინალ ჯლანას დამცველებს ჩვენ, დემოკრატიული ღირებულებებით გულანთებულ ადამიანებს როგორ გვადარებთო, რეაქცია აშკარად არაადეკვატურია. პოლიციას ვერ დავავალებთ, დემონსტრანტების იდეალების სიწმინდე ზომოს. მეტიც, იდეალისტი მოპროტესტეები შეიძლება საზოგადოებისთვის უფრო სახიფათონიც იყვნენ. ანტიგლობალისტებს მეტად მაღალი ღირებულებები ამოძრავებთ, მაგრამ მათ დემონსტრაციებსაც შლიან. ჩვენი ბასილ მკალავიშვილიც იდეალისტი არ იყო – სჯულის კანონს იცავდა, ისევე როგორც "ალ ქაედა" იცავს ისლამური რელიგიის ღირსებას. "ჯლანა" შეიძლება არაკეთილხმოვანი სახელი იყოს, მაგრამ მის მატარებელსაც აქვს ადამიანის განუყოფელი უფლებები, და თუ ვინმე თვლის (თუნდაც შეცდომით). რომ ეს უფლებები ირღვევა, მასაც სრული უფლება აქვს, კანონით დაშვებული ყველა მეთოდი (მათ შორის საჯარო მანიფესტაცია) გამოიყენოს თავისი პოზიციის დასაცავად.

თუ კონკრეტულად სად გადის ზღვარი იმისა, როდის შეიძლება ხელისუფლებამ ძალით აღკვეთოს ასეთი პროტესტი, ამის დადგენა დემოკრატიებს ტრადიციულად უჭირთ. მაგრამ ზღვარი არსებობს, ამიტომ ხანდახან დემონსტრაციებს ყველაზე დემოკრატიულ ქვეყნებშიც შლიან. ყველაზე თვალსაჩინო კრიტერიუმი საპროტესტო აქციის მშვიდობიანი თუ ძალადობრივი ხასიათია. ამ კრიტერიუმით ხელისუფლების გადაწყვეტილება, რუსთაველზე ძალა გამოეყენებინა, გამართლებული მგონია. დებოში უზენაეს სასამართლოში და საპროტესტო აქცია რუსთაველზე არ იყო ორი დამოუკიდებელი მოვლენა: მეორე პირველს აგრძელებდა. უკეთესი იყო, სასამართლო დარბაზის დამლეწავები შენობაშივე აეყვანათ, მაგრამ რაკი ეს ვერ მოხერხდა, და რაკი ასეთი – ძალადობისადმი აშკარად მიდრეკილი – ადამიანები აპირებდნენ საპროტესტო ქმედებების გაგრძელებას, ხელისუფლება ვალდებული იყო, ზომები მიეღო, ანუ ძალა გამოეყენებინა, თანაც დროულად.

რატომ მონაწილეობდნენ აქციის დაშლაში არაფორმიანი ადამიანები?

ეს ბრალდება სრულიად გასაზიარებელია. თუნდაც ხელისუფლება სხვა პრინციპულ საკითხებში მართალი იყო, ამის გამო კანონის აშკარა დარღვევა არ უნდა გავამართლოთ. ხელისუფლებამ უნდა გვითხრას, თუ რატომ მოუვიდა ეს და როგორ აპირებს კანონის ამ დარღვევაზე რეაგირებას.

რა საჭირო იყო ამდენი და ასე შეიარაღებული ადამიანის გამოყვანა რუსთაველზე? ეს ხომ თავისთავად არასწორ სიგნალს აძლევს საზოგადოებას და ვნებს ქვეყნის იმიჯს?

როგორ გავზომოთ, ზედმეტია ძალა თუ არა? რამდენიმე საათით ადრე, სასამართლო დარბაზში, ხელისუფლებას არასაკმარისი ძალა აღმოაჩნდა და დებოში ვერ აღკვეთა. იქნებ, შემდეგ მეორე უკიდურესობაში გადავარდა? არ ვიცი, დემონსტრაციების დაშლის დარგში ექსპერტი არა ვარ. შემიძლია დავეყრდნო მხოლოდ საღ აზრს, რამდენადაც ის გამაჩნია. პოლიციის მიზანი იყო, დაეშალა ძალადობისკენ აშკარად მიდრეკილი და საკმაოდ ღონიერი ადამიანებისგან შემდგარი მანიფესტაცია, თანაც ისე, რომ მაქსიმალურად აეცილებინა თავიდან ვინმესთვის ფიზიკური ზიანის მიყენება. როგორც ჩანს, პოლიციის ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ საამისოდ ბევრად აღმატებული ძალით დემონსტრანტების დათრგუნვა იყო საჭირო. მათ ამოცანა საკმაოდ წარმატებულად შეასრულეს, რაც ჩვენი პოლიციის პროფესიონალიზმის ზრდაზე მეტყველებს. სანამ ვინმე საპირისპირო აზრში დამარწმუნებს, პოლიციის ქმედებაში ამ კუთხით პრობლემას ვერ ვხედავ. რუსთაველზე ავტომატიანი ხალხის გამოჩენა ლამაზი დასანახი არასოდეს არ არის, მაგრამ ხანდახან ეს შეიძლება გარდაუვალი იყოს.

რომ შევაჯამოთ, ამ ეპიზოდმა გამოაჩინა ხელისუფლების ზოგადი სისუსტეები (სასამართლოს დაუცველობა), ზოგ შემთხვევაში მისი გადაწყვეტილებები შეიძლება სადავო იყოს, და არის ერთი აშკარა უკანონობა (არაფორმიანი ხალხის მონაწილეობა დემონსტრაციის დაშლაში). მაგრამ რაც გინდა პრინციპული პოზიცია დავიკავოთ ამ უკანასკნელ საკითხში, აქციის დაშლის შედარება ცხრა აპრილის ტრაგედიასთან, ან მისი "კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულად" კვალიფიკაცია ყოვლად გაუმართლებელია და მხოლოდ ქართული სუპერემოციურობით თუ შეიძლება აიხსნას (მაგრამ არა გამართლდეს). ეს წვრილმანი არ არის: ბრალის სიმძიმის კვალიფიკაცია არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე უბრალოდ იმის დაფიქსირება, რომ ვიღაცას რაღაცა შეეშალა. ყველა ჩამოთვლილ საკითხზე დისკუსია საჭირო და სასარგებლოა, მაგრამ ის პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება, თუ ბუზსა და სპილოს შორის განსხვავების დანახვა გვიჭირს.

*რატომ ასე მწარედ?*

მოდით, შეფასებიდან ახსნაზე გადავიდეთ. რატომ არის, რომ საკმაოდ გონიერმა ადამიანებმა ხელისუფლებას არცთუ ადეკვატური ბრალდებები წაუყენეს და თავი წამგებიან ვითარებაში ჩაიყენეს? ხელისუფლებისთვის სასიამოვნო ახსნა (რომელიც ზოგიერთი დამოუკიდებელი დამკვირვებლისგან გამიგია) ის იქნება, რომ ოპოზიციის მხრიდან ეს სასოწარკვეთის აქტი იყო: ის იმდენად სუსტია, რომ ნებისმიერ საბაბს იყენებს ყურადღების მისაქცევად. მეც მგონია, რომ არც მთლად უმაგისობაა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი ახსნა. თუ მოცემული ეპიზოდის ფარგლებს გავცდებით, ხელისუფლების დამოკიდებულებას ოპოზიციისადმი ადეკვატურს ვერ ვუწოდებთ. რევოლუციის დღეებიდან მოყოლებული, ეს დამოკიდებულება შეგვიძლია შევაჯამოთ სიტყვებით "ზიზღი" და "გაბიაბრუება". ძირითადი ტექსტი მდგომარეობს იმაში, რომ ეს არ არის "ნამდვილი ოპოზიცია", ეს ან წარსულის გადმონაშთია, ან (ყოფილი თანაპარტიელების შემთხვევაში) უპატიოსნო და/ან ნაწყენი ადამიანების ერთობლიობა, რომელიც ისტორიამ უნდა "ჩარეცხოს". ამიტომ ხელისუფლება თვლის, რომ ოპოზიციის წმინდა ფორმალური უფლებები კი უნდა დაიცვას, მაგრამ არ ევალება, ოპოზიციის მიმართ პატივისცემა გამოხატოს – რაც თუნდაც იმაში გამოიხატება, რომ მათ მოსაზრებას ყურადღებით მოუსმინოს. როგორც კი ოპოზიცია რაღაც ხელისუფლებისთვის არაკომფორტულს (და ხშირად სამართლიანს) იტყვის, პასუხი ოპოზიციონერების გაქილიკებაა ("შევარდნაძეს რატომ უჭერდით მხარს" და ა. შ.) და არა მათი არგუმენტების უარყოფა. "მოჭიდავეების ბუნტის" შემდეგ ხელისუფლება, როგორც ჩანს, ჩათვლის, რომ მოიპოვა მორალური უფლება, იგივე დამოკიდებულება გაავრცელოს ოპოზიციის მცირე რაზმზე, რომელიც მათგან ასე თუ ისე ცივილურ მოპყრობას იმსახურებდა – სახელდობრ, რესპუბლიკელებზე. პატივისცემას ისინი პირდებიან მომავალ, მათ წარმოსახვაში არსებულ, "ნამდვილ" ოპოზიციას, რომელიც გაურკვეველ მომავალში შეიქმნება.

ეს არის ღრმა შეცდომა, რომლის აღიარება ხელისუფლების ყველაზე წინ წასულ და დემოკრატიულ ღირებულებებში გარკვეულ წარმომადგენლებსაც უჭირთ. ოპოზიციის მიმართ მათი უპატივცემულობა სრულიად გულწრფელია და მათ არ ესმით, რატომ უნდა იფარისევლონ. ამავე დროს ისინი (სამართლიანად) მიანიშნებენ იმაზე, რომ ოპოზიციის დისკურსიც ძალიან ხშირად ასევე არაცივილურია. მაგრამ ეს არგუმენტები არ არის საკმარისი.

ჯერ ერთი, არაფერს არ ეყრდნობა იმაზე ლაპარაკი, რომ ამ ოპოზიციას "წყალი ჩარეცხავს" და მის მაგივრად რაღაც ახალი ოპოზიცია მოვა. ალბათ შეიქმნება ახალი ოპოზიციური ჯგუფებიც, შეიძლება ისინი გაძლიერდეს და ა. შ. მაგრამ სანამ ეს "ზეციური ოპოზიცია" შეიქმნებოდეს, დღეს არსებობს ის პარტიები და ფრაქციები, რომლებიც არსებობს, და ხელისუფლების დემოკრატიულობა მის მიმართ დამოკიდებულებით გაიზომება. პოლიტოლოგებმა შეიძლება იდავონ იმაზე, თუ რა პერსპექტივა აქვთ არსებულ პოლიტიკურ პარტიებს, ხოლო მათი ბედის საბოლოო განმსჯელი, რა თქმა უნდა, ამომრჩეველი იქნება. მაგრამ როცა სახელისუფლებო პარტიის იდეოლოგები იყენებენ იმ ენას, რომ ეს ოპოზიცია "ნამდვილი" არ არის, ეს მხოლოდ ერთი აზრით შეიძლება შევაფასოთ: ხელისუფლება წინასწარ იქმნის გამართლებას საიმისოდ, რომ ოპოზიციის აზრის უგულვებელყოფა გაიადვილოს.

მეორეც, თუ ოპოზიცია იჩენს არაკორექტულობას (რაც პირადად ჩემთვის სრულიად მიუღებელია), ეს არანაირად არ ამართლებს ხელისუფლების ანალოგიურ ქმედებას. აქ ლაპარაკია არა ძლიერის სულგრძელობაზე, არამედ საკუთარი პოლიტიკური პასუხიმგებლობის გააზრებაზე. ქვეყანაში არსებული ვითარება ნებისმიერ შემთხვევაში ხელისულებას ბრალდება. თუ ხელისუფლებას და ოპოზიციას შორის არ არის ცივილური, ურთიერთპატივისცემაზე აგებული ურთიერთობა, ეს ზრდის იმის ალბათობას, რომ პოლიტიკური ბრძოლა საპარლამენტო ფარგლებს გარეთ გავიდეს. ეს უბიძგებს ოპოზიციას, პოლიტიკური შანსები ქუჩის ბუნტებში ეძებოს, რაც, ობიექტურად, ზოგადად ქვეყნის დესტაბილიზაციას უწყობს ხელს.

ზედაპირზე, დემოკრატია არის სისტემა, სადაც მართავს ის, ვისაც კონკრეტულ მომენტში ხალხის უმრავლესობამ დაუჭირა მხარი. ამ მხრივ, ნაციონალურ მოძრაობას უპრეცედენტო მანდატი აქვს და, ბუნებრივია, უნდა ეს მანდატი მაქსიმალურად გამოიყენოს. მაგრამ ასეთი სისტემა შესაძლებელია ეფექტური იყოს მხოლოდ იქ, სადაც არსებობს ღრმა, ქვემდებარე კონსენსუსი მთელ საზოგადოებაში (ცხადია, ოპოზიციის ჩათვლით), ანუ შეთანხმება ძირითად პრინციპებზე და ღირებულებებზე. ეს შეთანხმება არ გულისხმობს მხოლოდ ფორმალურ წესებს, ის გულისხმობს ერთმანეთის ინტერესებისა და ღირსების პატივისცემასაც. ასეთი წესების დაცვაზე ხელისუფლებაც და ოპოზიციაცაა პასუხისმგებელი, მაგრამ თუ თანამშრომლობა არ შედგა და დემოკრატიულმა მექანიზმმა არ იმუშავა, ხალხი და, თუ გნებავთ, ისტორია, პასუხს პირველ რიგში ხელისუფლებას მოსთხოვს. ჯერჯერობით მე არ მეჩვენება, რომ ხელისუფლების ბევრ წარმომადგენელს ეს ბოლომდე ესმოდეს.

ზოგადი მორალისტური შეგონებების მოყვარული არა ვარ და მესმის, რომ ყოველივე ზემოთქმული შეიძლება ძალიან ზოგადი ჩანდეს. ცხადია, ხელისუფლებამ უნდა დაიცვას თავისი პოზიცია, მათ შორის ოპონენტების მწვავე კრიტიკის გზით. შეუძლებელია კონკრეტული წესების შემუშავება იმაზე, თუ როგორ უნდა გააკრიტიკო ოპონენტი ისე, რომ მის მიმართ ზიზღი არ გამოხატო: ამას ან ცდილობ და გამოგდის, ან არა. მაგრამ ერთი ჩემთვის ცხადია: ამ ხელისუფლების ყველაზე სახიფათო თვისებაა მისი უკიდეგანო რწმენა საკუთარი სიმართლისა. ეს მას კარგ საქმეებსაც აკეთებინებს, მაგრამ ამავე დროს ხელს უწყობს, სრული უპატივცემულობა გამოიჩინოს იმ ადამიანებისადმი, ვინც ამ "სიმართლეში" არ ჯდება. ხოლო ასეთი დამოკიდებულება არ შეიძლება მას არ შემოუბრუნდეს – ყველა ჩვენგანის საზიანოდ.

### შედეგები და რჩევები

არ მინდა, გავაზვიადო "მოჭიდავეების ბუნტის" შედეგები. ეს ეროვნული კატასტროფა არ ყოფილა. ფაქტობრივად, ეს იყო სკანდალი პოლიტიკური ელიტის ძალიან ვიწრო წრეში, რომელსაც მნიშვნელოვანწილად პიროვნული სარჩული ჰქონდა. მიმდინარე პოლიტიკური ქულების ჩაწერის აზრით ის შეიძლება მომგებიანი იყო ხელისუფლებისათვის, რომელმაც ნაწილობრივ "ამოქაჩა" ის ზარალი, რაც მერის პირდაპირ არჩევნებზე უარის თქმის არაპოპულარულმა გადაწყვეტილებამ მიაყენა. მაგრამ ამავე დროს ამ ეპიზოდმა კიდევ უფრო გააძლიერა ცინიზმი საზოგადოდ პოლიტიკის და პოლიტიკოსების მიმართ, რომელიც საქართველოში ისედაც ყოველთვის მაღალი იყო. ხალხმა ტელეეკრანებზე ნახა ინფანტილური და უზრდელი პოლიტიკოსები, ხოლო პირველმა ვინ ვის შეაგინა, ამის გარკვევა ნაკლებად აინტერესებს ვინმეს (გამოგიტყდებით, არც მე).

თუ "მოჭიდავეების ბუნტს" შეიძლება ჰყავდეს კონკრეტული მსხვერპლი, ეს საქათველოში დემოკრატიული პროცესია, ანუ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ურთიერთობაა. უფრო ზუსტად, მან გააუარესა საქმე, რომელიც ისედაც ცუდად მიდიოდა. როგორც საზოგადოებამ, რა შეიძლება ვუთხრათ პოლიტიკოსებს, რომ ყველაზე ცუდი სცენარი ავიცილოთ თავიდან?

ხელისუფლებას უნდა ვურჩიოთ, არ აჰყვეს ცთუნებას – რომელსაც, როგორც ჩანს, უკვე აჰყვა – და ჩათვალოს, რომ ამიერიდან მორალური უფლება აქვს, ოპოზიცია საბოლოოდ "ჩამოწეროს". არა, მას მოუწევს ურთიერთობა არსებულ და არა წარმოსახვით ოპოზიციასთან, და ეს ურთიერთობა დემოკრატიის ყველა წესს უნდა შეესაბამებოდეს. თუ ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელს რომელიმე ოპოზიციონერთან პიროვნული ურთიერთობა გაუფუჭირდება, ეს მხოლოდ მისი პრობლემაა. დემოკრატიის წესები კი გულისხმობს იმას, რომ ზოგიერთ საკვანძო საკითხზე მაინც – როგორიცაა, მაგალითად, არჩევნების ჩატარების წესი – ხელისუფლება რეალურად უნდა ეცადოს, ოპოზიციასთან კონსენსუსის რაღაც ხარისხს მიაღწიოს.

ოპოზიციაც იქიდან უნდა ამოვიდეს, რომ მიუხედავად მომხდარისა, მას სხვა არჩევანი არა აქვს, გარდა პოლიტიკური ბრძოლის ჩვეულებრივი მეთოდების გამოყენებისა. თუ ოპოზიცია (ან მისი რომელიმე ნაწილი) ფიქრობს, რომ უნდა მიბაძოს იმ გზას, რითაც ნაციონალური მოძრაობა მოვიდა ხელისუფლებაში, მას დაბეჯითებით უნდა ვუთხრათ, რომ ეს აზრი მცდარია. ძალიან ეჭვი მეპარება, რომ ამ გზამ ოპოზიციას წარმატება მოუტანოს, გარდა იმ წვრილმანისა, რომ ის ქვეყნისთვის იქნება დამღუპველი. განსაკუთრებით არასწორია არჩევნების ბოიკოტის ლოზუნგი, რაც ობიექტურად ან საკუთარი უსუსურობის აღიარებაა, ან აჯანყებისთვის მზადება. საკაცობრიო გენიას ჯერ არ გამოუგონია ისეთი საარჩევნო სისტემა, რომელიც ოპოზიციას გამარჯვების შანსს არ აძლევდეს (თუ არ ჩავთვლით წესს, როდესაც კანდიდატების წამოყენების უფლება მხოლოდ მთავრობას აქვს). ბოიკოტის სტრატეგიის შემთხვევაში ხელისუფლება ოპოზიციის მხრიდან ქუჩაში ყოველ გასვლას რევოლუციის მცდელობად აღიქვამს (არცთუ უსაფუძვლოდ) და შესაბამის რეაქციას მისცემს, რაც დემოკრატიულ პროცესებს ხელს მეტისმეტად არ შეუწყობს. რევოლუციაზე საუბრის მორალური უფლება ოპოზიციას მხოლოდ მას შემდეგ ექნება, როდესაც მას საარჩევნო გამარჯვებას წაართმევენ – იმედს ვიტოვებ, რომ აქამდე საქმე არ მივა.

# ძირითადი პოლიტიკური ტენდენციები

პირველი გვერდიდან

გაუგებარია, მიწაზე გართხმული მოჭიდავეების ნაცვლად ეს მეორე საუბარი რატომ არ წარუდგინეს საზოგადოებას, რათა ეჭვი არავის შეჰპარვოდა მათი დაკავების მოტივებში.

30 ივნისს, სასამართლოს დარბევისა და რუსთაველის გამზირის პირველად გადაკეტვის შემდეგ, შს მინისტრის მიერ ჩატარებული პრესკონფერენცია, სადაც მან ლადო გუდიაშვილის წლების წინ მოპარული სურათი წარმოადგინა, საზოგადოებამ ყურადღების გადატანის ულიმლამო მცდელობად აღიქვა. თუმცა, შესაძლოა, ეს საკითხი თავად შსს ხელმძღვანელობას არც დაუკავშირებია მოჭიდავეების საქმესთან, მაგრამ, ფაქტია, რომ საზოგადოების დიდმა ნაწილმა ეს სწორედ ამგვარად გაიგო.

მთავრობის საზოგადოებასთან ურთიერთობა მხოლოდ ვერბალურ კომუნიკაციას არ მოიცავს. იგი გარკვეული აქციებით შეიძლება განხორციელდეს, მათ შორის ძალის ჩვენებითაც. ხელისუფლების კიდევ ერთი შეცდომა ის იყო, რომ მან თავიდანვე არ გამოიძახა სპეცდანიშნულების რაზმი და სასამართლოს დამრბევები არ დააკავა, ხოლო მოგვიანებით იმავე სპეცდანიშნულების რაზმის მეშვეობით ერთმნიშვნელოვნად არ გააგებინა რუსთაველის გამზირზე ხელმეორედ შეკრებილ "გულშემატკივრებს", რომ ამგვარ აქციებს მათთვის სასურველი შედეგი არ მოჰყვებოდა.

პოლიტიკის წარმოებისას ყველაზე დიდი შეცდომა არათანამიმდევრულობაა. ნებისმიერი სახელმწიფოს, რაგინდ დემოკრატიული არ უნდა იყოს იგი, ერთ-ერთი მთავარი ფუნქია ძალაზე და ძალის გამოყენებაზე მონოპოლიაა. ხელისუფლებას არ უნდა შერცხვეს ძალის გამოყენების, როდესაც ამას კონსტიტუცია და სხვა კანონები ითვალისწინებს.

დაბოლოს, ამ საქმესთან დაკავშირებით ხელისუფლების საკომუნიკაციო სტრატეგიის ბოლო ნაწილი იყო ეჭვმიტანილი მოჭიდავეების ორგანიზებული დანაშაულის ქსელთან კავშირის ჩვენება. წესით, ეს სქემა ორი დღის წინ არ უნდა დაედგინათ სამართალდამცველებს, შესაბამისად, თავიდანვე რატომ არ აჩვენეს აღნიშნული სქემა იმ ორი საუბრის ჩანაწერთან ერთად, რათა ყველა კითხვის ნიშანი თავიდანვე მოხსნილიყო, გაუგებარია.

თუმცა, საზოგადოებასთან ურთიერთობა მხოლოდ პოლიციის აქილევსის ქუსლი არაა. პირადად მე განათლების რეფორმის გულმხურვალე მომხრე ვარ, მაგრამ განათლების სამინისტრო აშკარად მოიკოჭლებს რეფორმის "პიარის" თვალსაზრისით. ასე იყო სასკოლო სისტემის რეფორმის დროს და ასეა ახლაც, როდესაც რეფორმა უკვე უმაღლეს სასწავლებლებს შეეხო. რატომღაც განათლების მინისტრი ყველა დეტალზე დაწვრილებით ტელევიზორით მხოლოდ მას შემდეგ ლაპარაკობს, როდესაც მიტინგი მოეწყობა. შესაძლოა, მეჩვენება, მაგრამ ფაქტია, რომ მინისტრ ლომაიასაგან მხოლოდ ამ შემთხვევაში ვიგებ ხოლმე რეფორმის ალფასა და ომეგას შესახებ.

მთავრობის საკომუნიკაციო შეცდომის კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, თუმცა, დასახელებული ორი მაგალითიც საკმარისია აზრის შესაქმნელად.

### პოლიტიკური პროცესის პოლარიზაცია:

შევარდნაძის მმართველობის დროს ოპოზიციას გაერთიანება ძალზე უჭირდა, რადგან თითქმის ყველა მათგანი ამა თუ იმ კონკრეტული საკითხის გარშემო თანამშრომლობდა ხელისუფლებასთან. შევარდნაძე ოსტატურად იყენებდა "დაყავი და იბატონეს" პრინციპს და სხვადასხვა სახის დაპირებების წყალობით ოპოზიცია გათიშული ჰყავდა.

სააკაშვილის ხელისუფლება კი აშკარად გაემიჯნა ყველა დანარჩენ ჯგუფს და აირჩია პრინციპი: თუ მოგწონთ, ხომ კარგი, თუ არადა, თავში ქვა გიხლიათ. პოლიტიკურ სივრცეში დიალოგი შეცვალა ურთიერთგადამფარავმა მონოლოგებმა.

### "ნათელაშვილიზაცია"

ამ ვითარებაში, ოპოზიციის წარმომადენლებმა ახალი ტაქტიკის ძიება დაიწყეს. მათ კარგად იციან, რომ ამა თუ იმ საკითხის გარშემო ხალხის მობილიზების გარეშე ისინი თავიანთ მიზნებს ვერ განახორციელებენ.

თბილისის მერის არჩევა ის საკვანძო საკითხი გამოდგა, რომლის გარშემო, ფაქტობრივად, ყველა ოპოზიციური პარტია გაერთიანდა და ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში საერთო სტრატეგიის შემუშავებაზე დაიწყო მსჯელობა. თუმცა, კონცერტის თანხლებით ჩატარებულმა მცირემასშტაბიანმა აქციამ ოპოზიციონერები დაარწმუნა, რომ მერის არჩევითობა ხალხისთვის ყველაზე მტკივნეულ პრობლემად არ აღიქმება.

ეს, ფაქტობრივად, ბოლო წვეთი აღმოჩნდა ოპოზიციური სპექტრისათვის, რათა დარწმუნებულიყო, რომ ხალხის მობილიზება მხოლოდ შალვა ნათელაშვილის მეთოდებით არის შესაძლებელი.

სწორედ ამის დადასტურება იყო 30 ივნისის ღამეს, თითქმის ყველა ოპოზიციური პარტიის ლიდერის მოჭიდავეების აქციაზე მისვლა. ალბათ, თავად ნათელაშვილიც გაკვირვებული იყო მისი "მიმდევრების" ნიჭიერებითა და ფანტაზიით: რუსთაველის გამზირზე არსებული ვითარების 9 აპრილისათვის შედარება და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად გამოცხადება მანამდე ბატონი შალვას მიერ გაკეთებულ ყველა განცხადებას აღემატებოდა თავისი სიმწვავით. 30 ივნისს, ინტელექტუალობაზე პრეტენზიის მქონე პოლიტიკოსებიც კი ნათელაშვილებად იქცნენ.

### დასკვნა

ხელისუფლების და ოპოზიციის დაბალი პოლიტიკური კულტურის ზეიმი უკვე 1 ივლისს პარლამენტის სხდომათა დარბაზში იხილა საზოგადოებამ, როდესაც მუშტი-კრივი გაიმართა. როგორც ჩანს, საქართველოში ფიზიკური ძალა კამათის დროს კვლავ ყველაზე დამაჯერებელი არგუმენტია.

ხალხს არა მარტო ის ხელისუფლება ჰყავს, რომელსაც იმსახურებს, არამედ - შესაბამისი ოპოზიციაც.


9 ნაბიჯი მომხმარებლისკენ

9 სიახლე, 9 კვირის განმავლობაში

## "თიბისი ბანკი" - მომხმარებლის საჭიროებებზე ორიენტირებული ბანკი

"თიბისი ბანკის" ახალი კამპანია "9 ნაბიჯი მომხმარებლისკენ" ერთი თვის წინათ 20-წლიანი იპოთეკური სესხების შემოღებით, რამაც ბანკს მკვეთრად გაუმყარა კონკურენტული უპირატესობა ადგილობრივ ბაზარზე და ბინის შეძენა თუ აშენება ხელმისაწვდომი გახადა საშუალო ფენებისთვისაც.

"თიბისი ბანკმა" იპოთეკური სესხები ქვეყნის საბანკო ბაზარზე ჯერ კიდევ 4 წლის წინათ დანერგა და ამ მიმართულებით ლიდერის პოზიციაც დაიმკვიდრა. იპოთეკური სესხების ვადის 20 წლამდე გაზრდას მოჰყვა ბანკის მორიგი ნაბიჯი - საკრედიტო ბარათების შემოღება. "თიბისი ბანკის' საკრედიტო ბარათი - ესაა სესხის აღების სწრაფი და მოხერხებული საშუალება, ფაქტობრივად, უვადო კრედიტი, რომელიც მომხმარებელს შეუძლია ნებისმიერი საჭიროებისთვის გამოიყენოს.

"თიბისი ბანკის" ერთ-ერთი ნაბიჯი მომხმარებლისკენ სამომხმარებლო სესხების პირობების გამარტივებასაც ითვალისწინებდა. სამომხმარებლო სესხი გამოიყენება საოჯახო, პირადი ნივთების შესაძენად, ოჯახის და ნებისმიერი პირადი ხარჯების დასაფინანსებლად. სესხის მინიმალური მოცულობა 500 ამერიკული დოლარი ან 1000 ლარია. სესხის მაქსიმალური მოცულობა ადრე 25 ათასი დოლარი იყო, 1 მაისიდან კი "თიბისი ბანკის" სამომხმარებლო სესხების მოცულობა შეუზღუდავია, ანუ მოიხსნა ზედა ზღვარი.

"თიბისი ბანკის" შემდეგი სიახლე სადაზღვევო მომსახურებასთან იყო დაკავშირებული. ერთი თვეა, რაც ბანკი თავის კლიენტებს საბანკო, სადაზღვევო და საპენსიო პროდუქტებს კომპლექსური სახით სთავაზობს. სტრატეგიული სეგმენტის წარმომადგენელი ფიზიკური თუ იურიდიული პირები ბანკების მიმართ განსხვავებულ მოთხოვნებს აყალიბებენ და საბანკო მომსახურებასთან ერთად, სხვა საფინანსო მომსახურებითაც ინტერესდებიან. კერძოდ, იზრდება მათი მოთხოვნა საპენსიო და სადაზღვევო პროდუქტებზე. "თიბისი ბანკის" ინიციატივა, შესთავაზოს სტრატეგიულ კლიენტურას სადაზღვევო-საპენსიო პროდუქტები, სწორედ ამ გარემოებებმა განაპირობა.

18 მაისიდან "თიბისი ბანკი", "თიბისი ტვ"-თან, ტელეკომპანია "რუსთავი 2"-სა და კომპანია "მაგი სტილთან" ერთად 4 თვის განმავლობაში განახორციელებს ერთობლივ აქციაპროექტს, რომელიც მიზნად ისახავს საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას და მათი პროდუქციის პოპულარიზაციას, შეღავათიანი პირობებით სარეკლამო მომსახურების გაწევის გზით.

"თიბისი ბანკის" ახალი კამპანია კორპორატიულ კლიენტებზეც იყო გათვლილი. "თიბისი ბანკი" კორპორატიულ კლიენტებს 1 ივნისიდან სავალუტო ოპერაციებში უპრეცედენტო ინოვაციებს სთავაზობს: სავალუტო რისკის დაზღვევა "სვოპებით და "ფორვარდებით", სავალუტო ოფციონები, საპროცენტო რისკების დაზღვევა, მოკლევადიანი დეპოზიტები, უცხოეთის ფასიან ქაღალდებში თანხების განთავსება და სხვა.

ექსპერტთა შეფასებით, ამ ახალი სერვისების წყალობით საქართველოში მსხვილი სავალუტო ოპერაციები უფრო მომგებიანი, ურისკო და მრავალფეროვანი გახდება. მაღალხარისხიან და პროფესიონალურ მომსახურებას "თიბისი ბანკის" ხაზინისა და ფინანსური სერვისის დეპარტამენტი უზრუნველყოფს.

ახალი მომსახურების შემოღება და არსებული სერვისების პირობების გაუმჯობესება ბაზარზე "თიბისი ბანკის" კონკურენტულ უპირატესობას ამყარებს. **"თიბისი ბანკი" უახლოეს ხანებში მომხმარებელს სხვა მომსახურებებსაც გამარტივებული და გაუმჯობესებული პირობებით შესთავაზებს.**

### ბანკომატები - აწარმოეთ საბანკო ოპერაციები ბანკში მიუსვლელად

"თიბისი ბანკი" ითვალისწინებს მომხმარებლის აზრს და ერგება მის მოთხოვნილებას. ბანკის ხელმძღვანელობამ 2004 წლის დეკემბერში მიიღო გადაწყვეტილება დედაქალაქის მასშტაბით ახალი ბანკომატების განთავსების თაობაზე.

**"დღემდე მხოლოდ 11 ბანკომატი ფუნქციონირებდა, მიზანშეწონილად, მივიჩნიეთ, რომ რეგიონში და დედაქალაქის ყველა იმ უბანში სადაც ჩვენი ბანკის მიზნობრივი კლიენტია, განთავსდეს ბანკომატი. "თიბისი ბანკის" ბანკომატების რიცხვი გაიზრდება 29-მდე, უმრავლესობა დედაქალაქში განთავსდება, დანარჩენი კი ქვეყნის მსხვილ ქალაქებში. კერძოდ, თბილისში დაიდგმება იმდენი ბანკომატი, რაც 2005 წლის ბოლომდე უზრუნველყოფს ბანკის ქსელის განტვირთვას. მით უმეტეს, როცა "თიბისი ბანკის" სტრატეგიაც, სწორედ, ოფისების განტვირთვასთან არის დაკავშირებული,"** - ბანკომატის ქსელის გაფართოებაზე საუბრობს "თიბისი ბანკის" მარკეტინგის განყოფილების უფროსი **ვაჟა ბერიაშვილი.**

კლიენტს შესაძლებლობა აქვს დაზოგოს დრო და დენის, წყლის, ტელეფონის და სხვა კომუნალური გადასახადები ბანკომატის საშუალებით გადაიხადოს. აგრეთვე აწარმოოს საბანკო ოპერაციები ბანკში მიუსვლელად - "თიბისი ბანკის" ბანკომატის საშუალებით კლიენტს შესაძლებლობა ეძლევა არა მარტო გაიტანოს, არამედ შეიტანოს თანხა საბანკო ანგარიშზე.

აღნიშნული სერვისით სარგებლობა შეუძლია "თიბისი ბანკის" ვიზა ბარათის მფლობელ ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც გაივლის შესაბამის რეგისტრაციას ბანკში.

**სერვისის პირობები:**

თანხის შეტანა ბანკომატით შესაძლებელია მიმდინარე, შემნახველ და საბარათე ანგარიშებზე, აგრეთვე ზრდად და საბავშვო ანაბრებზე. ბანკომატში შეტანილი თანხა ანგარიშზე აისახება მომდევნო სამუშაო დღის 16:00 საათამდე. ბანკომატით ნებადართულია მხოლოდ განსაზღვრული ვალუტის (GEL,USD, EUR) ქაღალდის კუპიურების შეტანა, რომლის მაქსიმალური რაოდენობა 50 ერთეულს შეადგენს.

რაც შეეხება, მომსახურების ტარიფებს, სერვისზე რეგისტრაცია და დარეგისტრირებული მონაცემების შეცვლა/დამატება უფასოა, (თუ "თიბისი ბანკის" ვიზა ბარათის მფლობელს სურვილი აქვს ისარგებლოს ბანკომატში თანხის შეტანითაც, მისი რეგისტრაციის ღირებულებაა 20 ლარი) მომსახურება: 5 ლარი კვარტალში (თუ ამავდროულად კლიენტი სარგებლობს კომუნალური გადარიცხვების სერვისითაც, მაშინ ორივე სერვისზე მომსახურების ჯამური ღირებულება 5 ლარი კვარტალში); ბანკომატით თანხის შეტანა ანგარიშზე: უფასო; შენატანის მინიმალური თანხა 50 ლარი/ევრო/დოლარი; შენატანის მაქსიმალური თანხა: 5000 ლარი/ევრო/დოლარი. კომუნალური გადარიცხვის საკომისიო: 0,90 ლარი ერთ გადარიცხვაზე, კომუნალური მომსახურების კომპანიაში გადარიცხვის ასახვის ვადა განსხვავდება კომპანიების მიხედვით და საშუალოდ შეადგენს 1-4 სამუშაო დღეს.

**"ბანკომატის გადასახადი ყველა კლიენტისთვის 0,2 პროცენტამდე დაიწია, ამასთან, "თიბისი ბანკი" ყველა მეანაბრეს ვიზა პლასტიკურ ბარათს ჩუქნის. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ბარათიდან ფულის გამოტანა ბანკომატიდან იქნება უფასო - 0%. ეს არის ბანკის ორი პროდუქტის ურთიერთდაკავშირება - გახდით "თიბისი ბანკის" მეანაბრე და ბანკი უფასოდ გადმოგცემთ პლასტიკურ ბარათს, უფასო სარგებლობის უფლებით. თუ დეპოზიტს პროცენტი დაერიცხა, მისი გატანა კლიენტს შეუძლია ბანკში მიუსვლელად, "თიბისი ბანკის" ნებისმიერი ბანკომატიდან. გარდა ამისა, ჩვენი ბანკომატი საშუალებას აძლევს კლიენტს გაიგოს ნაშთის რაოდენობა, შესაძლებლობა აქვს, მიიღოს ამონაწერი და ასე შემდეგ. საქართველოში ეს უპრეცედენტო შემთხვევაა,"** - "თიბისი ბანკის" ბანკომატების უპირატესობაზე მიანიშნებს **ვაჟა ბერიაშვილი.**



GRDC
GEORGIAN RECONSTRUCTION & DEVELOPMENT COMPANY

## "კინო ქალაქი" მალე რეალობა გახდება

5 ივლისს, 17 საათზე გაიმართება პროექტ "კინო ქალაქის" I ეტაპის პრეზენტაცია რომელსაც ახორციელებს საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანია (ჯიარდისი). პრეზენტაციას მოახდენს ცნობილი ჰოლანდიელი არქიტექტორი ხილიან შროფერი, რომელიც სპეციალურად "კინო ქალაქის" ამ პროექტისთვის მოიწვია ჯიარდისიმ. ჯიარდისის დიდი ხნის პარტნიორი, ხილიან შროფერი ამ პრეზენტაციაზე მოახდენს საკუთარი არქიტექტურული პროექტის წარდგენას.

პრეზენტაციაზე ასევე სიტყვით გამოვლენ ლადო იმნაიშვილი - "კინო-ქალაქის" პროექტის დირექტორი ("ჯიარდისი"); გოკა გაბაშვილი - კულტურისა და სპორტის მინისტრი; ნანა ჯორჯაძე - რეჟისორი;

პროექტი მოიცავს ძველი პავილიონის რეკონსტრუქციას - მის ტერიტორიაზე კულტურულ-გასართობი ცენტრის აშენებას და ახალი პავილიონის მშენებლობას. ეს კულტურულ-გასართობი ცენტრი არის იმ დიდი პროექტის ნაწილი რომელსაც ჯიარდისი მომავალში განახორციელებს ძველი კინოსტუდიის ტერიტორიაზე. პავილიონში განლაგებული იქნება 5 კინოთეატრი სხვადასხვა მიმართულების კინოს მოყვარულთათვის, გრანდკაფე და საფესტივალო-საკონცერტო დარბაზი, რაც საშუალებას მისცემს თბილისში გრანდიოზული კინო, მუსიკალური თუ სხვა ფესტივალების ჩატარებას. პროექტის მშენებლობა დაიწყება 2006 წლიდან და გასტანს წელიწადნახევარი. პარალელურად ჯიარდისი, დიღმის ტერიტორიაზე ააშენებს თანამედროვე ტიპის, ახალ კინო პავილიონს.

საქართველოს რეკონტრუქციის და განვითარების კომპანიამ (ჯიარდისი) საქართველოს ბაზარზე ფუნქციონირება 2004 წლიდან დაიწყო. კომპანიის ძირითადი მიმართულებაა უძრავი ქონების შეძენა და განვითარება, საქართველოში, ძირითადად - თბილისში. ჯიარდისი ახდენს სახსრების ინვესტირებას თბილისის ცენტრში, პრესტიჟულ ადგილას განთავსებულ უძრავ ქონებაში. კომპანიის მიზანია პროექტების განხორციელება საერთაშორისო სტანდარტებისა და ხარისხის დაცვით.

ჯიარდისის დამფუძნებელთა გამოცდილება და ავტორიტეტი იძლევა საფუძველს იმისათვის, რომ კომპანიის სერიოზულ განზრახვაზე ვიმსჯელოთ. კომპანიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს აქტივს წარმოადგენს ახალგაზრდა პროფესიონალების გამოცდილი გუნდი, რომელსაც სათავეში უდგას კომპანიის პრეზიდენტი მამუკა ხაზარაძე და კომპანიის გენერალური დირექტორი ირაკლი კილაურიძე.

ჯიარდისი წარმოადგენს კარგად კაპიტალიზირებულ ახალ კომპანიას საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე. კომპანიის პოტენციალი იძლევა ყველა რესურსის გამოყენების საშუალებას, რათა მოხდეს მიმზიდველი ქონების შეძენა და ინვესტიციების მოზიდვა იმ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან და საერთაშორისო ფონდებისგან, რომლებთან ჯგუფს დიდი ხნის თანამშრომლობა აკავშირებს.

ჯიარდისის ასევე განზრახული აქვს უახლოეს 3-5 წელიწადში 100-130 მილიონიანი ინვესტიციების განხორციელება საქართველოს მასშტაბით ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტურისტულ-რეკრეაციული ზონების შექმნის მიზნით.

კომპანიას დიდი ხნის პროფესიული ურთიერთობები აქვს მრავალ გამოცდილ არქიტექტორსა და სამშენებლო კომპანიასთან. ჯიარდისი მიზნად ისახავს გამოიყენოს მათი გამოცდილება, რათა კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტების ხარისხი შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს.

დღესდღეობით ჯიარდისი მუშაობს რამდენიმე მიმართულების პროექტზე. ეს არის ბიზნეს ცენტრების განვითარება, სავაჭრო ცენტრის განვითარება, სასტუმროების განვითარება, SPA-ს განვითარება, საცხოვრებელი გარემოს განვითარება.

ამჟამად მუშაობის აქტიურ სტადიაშია რამდენიმე პროექტი: კინოქალაქის პროექტი, თბილისი სითის პროექტი და ბიზნეს ცენტრი მარჯანიშვილის 6-ში.

## ყურადღება!

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული განვითარების და რეფორმების ფონდი ანახლებს წარმატებულ პროექტს: -"სასწავლო და სამეცნიერო გრანტების პროგრამა ახალგაზრდა იურისტებისთვის".

ამა წლის 15 ივნისს საქართველოს პრეზიდენტმა მიულოცა საკონკურსო წესით შერჩეულ 14 წარმატებულ კანდიდატს ევროპის და აშშ-ის საუკეთესო უნივერსიტეტებში სამაგისტრო პროგრამებზე სასწავლებლად სრული დაფინანსების მოპოვება.

პრეზიდენტის ინიციატივით, ვაცხადებთ კონკურსის მეორე რაუნდს იურიდიული და საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტების კურსდამთავრებულთათვის. (კონკურსის მეორე რაუნდში ვერ მიიღებენ მონაწილეობას პირველ რაუნდში მონაწილე კანდიდატები).

განვითარებისა და რეფორმების ფონდი დააფინანსებს ახალგაზრდა იურისტებს, რომლებიც 2005-2006 აკადემიური წლის განმავლობაში გააგრძელებენ სწავლას ან სამეცნიერო მუშაობას ევროპის ან აშშ-ის უნივერსიტეტებში. დაფინანსება მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო სტიპენდიას და/ან სწავლასთან და სამეცნიერო მუშაობასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს (მათ შორის - მგზავრობის და საცხოვრებელ ხარჯებს). შერჩევა განხორციელდება კონკურსის საფუძველზე.

ზემოაღნიშნული ინფორმაცია (ასევე განაცხადის ფორმა) განთავსებულია შემდეგ ვებ-გვერდებზე:
www.drf.org.ge
საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2005 წლის 20 ივლისი,.
შემდგომი ინფორმაციისათვის და განაცხადის ფორმებისათვის მიმართეთ შემდეგ მისამართზე:

**განვითარებისა და რეფორმების ფონდი**
**ჭანტურიას ქ. N12, თბილისი 0108 საქართველო**
**ტელ.: 996723/995923/997582(ფაქსი)**
**ელ-ფოსტა: isulava@drf.org.ge**
**ირინა სულავა**
**სასწავლო პროგრამის კოორდინატორი**

# „მოჭიდავეთა საქმის" კრიმინალური კავშირები

პირველი გვერდიდან

იგივე სქემით წინა ხელისუფლების დროს "კალატოზას" ლობისტები პოლიციაშიც ჰყავდა. მისი მფარველი გახლდათ შსს-ს მე-6 ეკონომიკურ დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი მთავარი სამმართველოს მაშინდელი ხელმძღვანელი დავით კაჭკაჭიშვილი, რომელსაც ბიზნესსფეროების კონტროლი ევალებოდა. კაჭკაჭიშვილი მფრაველობდა ყოფილ პოლიცელს, "კალატოზას" ძმას ვასილ ქარსელაძეს - "ზოი ვასოს", რომელიც ამჟამად, დაკავებული მოჭიდავეების ადვოკატია.

შსს-ს ინფორმაციით, ფულის გამოძალვას სხვადასხვა ბიზნესმენებისაგან "კალატოზასთან" დაახლოებული მოჭიდავეების ჯგუფი ახორციელებდა, კონკრეტულად, გიორგი რევაზიშვილი – "ჯღანა"; გიორგი ჯინჭველაშვილი; ალექსი დავითაშვილი; გიორგი საური; კარლო კუბლაშვილი; გიორგი ყიზილაშვილი; ზვიად ჩხარტიშვილი და სხვები. შსს-ს ინფორმაციით, თავის დროზე "კალატოზა" რევაზიშვილისა და ჯინჭველაძის მწრთვნელი იყო და ორივე მოჭიდავე მის "მარჯვენა ხელად" ითვლებოდნენ.

დავით ქარსელაძე სამართალდამცველებმა გასულ წელს დააკავეს, ის ამჟამად, ორთაჭალის საპყრობილეში, ე.წ. "ფაშისტების" კორპუსში, პრივილეგირებულ პირობებში იმყოფება და სხვათა შორის, ციხიდანაც საკმაო წარმატებით აგრძელებს თავის "ბიზნესის" მართვას.

გამოიებამ "კალატოზას" შემდეგი ბრალდებები წაუყენა: დავით ქარსელაძე, ზვიად ჩხარტიშვილის მეშვეობით ,მეტრო "დიდუბის" მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული ავტოსადგომიდან მოძრავი სამარშრუტო ტაქსების მძღოლებისაგან ეწეოდა ფულის გამოძალვას;

2004 წლის 20 მარტს, კალატოზას დანაშაულებრივმა ჯგუფმა 20 ათასი აშშ დოლარი გამოსძალა სეგმარ კაპანაძეს;

2001 წლის 10 მარტს, "კალატოზამ " შპს "ვარკეთილი 96"-ის დაფუძნებელს ასმათ ლაღაძეს საწესდებო კაპიტალის 55 პროცენტი საკუთარ თავზე გადააფორმებინა.

2004 წლის 28 დეკემბერს, ნაძალადევის რაიონში "კალატოზას " 4-კაციანმა დაჯგუფებამ გატაცებული ავტომანქანის მეშვეობით თავდასხმა განახორციელა საფოსტო ბანკზე, მოკლეს ინკასატორი და გაიტაცეს 144 ათასი ლარი.

"კალატოზას" დაჯგუფების წევრების საქმიანობის გამოძიებას სამართალდამცველები კვლავ აგრძელებენ.

*24 საათი*

**p.s. "24 საათს" დაუკავშირდა ტარიელ ონიანის მეუღლე და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაცია კატეგორიულკად უარყო. დარეჯან ქარსელაძე უარყოფს სამინისტროს მტკიცებას იმის შესახებ, რომ მას დავით ქარსელაძესთან, მეტსახელად "კალატოზასთან" რაიმე ნათესაური კავშირი და მით უმეტეს, საქმიანი ურთიერთობა აქვს. ტარიელ ონიანის მეუღლე აცხადებს, რომ მისთვის უცნობია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დასახელებულ პირთა ვინაობა და მათთან არასდროს ჰქონია რაიმე სახის კავშირი. "საქართველოში ქარსელაძე გავრცელებული გვარია და ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ნათესავები ვართ", - ამბობს დარეჯან ქარსელაძე.**




## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველოს ყველაზე პროფესიონალური და არაკორუმპირებული პოლიცია ჰყავს. პრეზიდენტი ძალოვანების მუშაობით განსაკუთრებით კმაყოფილი დაკავებული სპორტმენების მხარდასაჭერად რუსთაველზე გამართული აქციის შემდეგ არის. სააკაშვილი აცხადებს, რომ მინისტრ ვანო მერაბიშვილის საქმიანობით ძალიან კმაყოფილია და ამიტომ, ოპოზიციის მოთხოვნას, მისი გადაყენების შესახებ, არ დააკმაყოფილებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**გორი.** გორის რაიონში მომხდარ ყაჩაღობას მეჯვრისხევის საკრებულოს გამგებლის მოადგილის სიცოცხლე ემსხვერპლა. ჯერჯერობით დაუდგენელი შეიარაღებული ნიღბიანები თავს დაესხნენ ჩიტიშვილების საცხოვრებელ ოჯახს. მათ იარაღის მუქარით გაიტაცეს ოჯახის უფროსი, ძვირფასეულობა და სხვა საოჯახო ნივთები.

მეჯვრისხევის გამგებლის მოადგილე 52 წლის პავლე ჩიტიშვილი თავდამსხმელებმა საკუთარი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხეხილის ბაღში მოკლეს. გარდაცვლილს სხეულზე სხვადასხვა იარაღით მიყენებული დაზიანება აღენიშნება. დამნაშავეთაგან ამ დროისთვის დაკავებული არავინ არის. გორის რაიონის პოლიციაში აცხადებენ, რომ მიმდინარეობს ოპერატიული ღონისძიებები დამნაშავეთა დასადგენად და მათ დასაკავებლად. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "კონსერვატორული პარტიის" წარმომადგენელი კახა კუკავა სტრასბურგში, 30 ივნისს რუსთაველის გამზირზე დაკავებული მოპიკეტეების საკითხს დასვამს. "კონსერვატორული პარტიის" წარმომადგენელი სასამართლოს მიერ ცხრა დაკავებულისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებას გააპროტესტებს. როგორც პარტიაში განაცხადეს, კუკავა სტრასბურგში "პოლიტიკური პარტიების შესახებ" კანონპროექტის პრინციპების განსახილველად ქართველ პარლამენტარებთან ერთად გაემგზავრება. 30 ივნისს, რუსთაველის გამზირზე ცხრა დაკავებული მოპიკეტის პროცესი გუშინწინ გაიმართა და მათ რვადღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა მიუსაჯეს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის შს ორგანოების მიერ 25 ივნისიდან 3 ივლისამდე გახსნილია და გამოვლენილია 80-მდე დანაშაული. როგორც შს-სამინისტროშ აცხადებენ, ჩადენილ დანაშაულთა შორისაა: მკვლელობის, მკვლელობის მცდელობის, გამოძალვის, თავისუფლების უკანონო ალკვეთის, ქონების განზრახ განადგურების, 13 სხეულის დაზიანების, 36 ქურდობის,1 0 ძარცვის, 8 ყაჩაღობის, 6 თაღლითობის, 4 პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევის, 9 ხულიგნობის ფაქტები. დაკავებულია ბოროტმოქმედთა 22 ჯგუფი 62 პირის შემადგენლობით, რომლებიც მხილებულნი არიან 23 დანაშაულის ჩადენაში. საპატრულო პოლიციის მიერ გამოვლენილია ნარკომანიის 14 ფაქტი, რომელთაგან ხუთზე უკვე ალიძრა სისხლის სამართლის საქმე, 9 ნარკომანი კი დაჯარიმდა. ამოღებულია 1 კგ. და 163 გრამი მარიხუანა. ამ პერიოდში დააკავეს ყალბი ეროვნული ვალუტის გამსაღებლები, რომელთაგან 35 000 ლარის 50 და 100 ლარიანი ყალბი კუპიურები ამოიღეს. **პრაიმ-ნიუსი**

# შვილის მკვლელის გვამი იპოვეს

გალის რაიონის სოფელ საზერიოში მდინარე ენგურის ნაპირზე, ერთ-ერთმა შემთხვევითმა გამვლელმა ნახევრად გახრწნილი ცხედარი აღმოაჩინა, რის შესახებ აფხაზ სამართალდამცველებს შეატყობინა. აფხაზურმა მხარემ ცხედრის იდენტიფიკაცია ვერ შეძლო, რის შემდეგაც ქართულ მხარეს დაუკავშირდა. ცხედრის ექსპერტიზის შემდეგ გაირკვა, რომ იგი დაახლოებით ერთი თვის წინ წალენჯიხის რაიონის სოფელ ფახულანიდან გაუჩინარებულ ელისო ხარაიშვილს ეკუთვნის, რომელიც საკუთარი შვილის 12 წლის ვანიკო სიჭინავას მკვლელობაში იყო ეჭვმიტანილი.

დაახლოებით ერთი თვის წინ, სავარაუდოდ, ელისო ხარაიშვილმა შვილი ჯერ ბალიშით გაგუდა, ხოლო შემდეგ დანით თორმეტი ჭრილობა მიაყენა, რის შემდეგაც გაუჩინარდა. ადგილობრივი მცხოვრებლები მაშინ ვარაუდობდნენ, რომ ელისო ხარაიშვილმა თავი მდინარე ენგურში დაიხრჩო. ამ ვარაუდის საფუძველს იძლეოდა ერთ-ერთ ხიდთან ნაპოვნი მისი კუთვნილი კაბა. ეს ვარაუდი გამართლდა.

როგორც წალენჯიხის პოლიციის უფროსი ბონდო შამუგია აცხადებს, გვამი ნაპოვნი იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რომელიც ქართველი სამართალდამცველების მიერ ვერ კონტროლდება. ამჟამად ცხედარი უკვე გადასვენებულია წალენჯიხის რაიონის სოფელ ფახულანში, ელისო ხარაიშვილის საკუთარ სახლში. მეზობლები მკვლელობის მოტივზე არ საუბრობენ, თუმცა ერთ-ერთი ნათესავის განმარტებით, მომხდარში დამნაშავე ვანიკო სიჭინავას მამაა, რომელიც რუსეთში იმყოფებოდა და მკვლელობამდე რამდენიმე ადრე დაურეკა თავის მეუღლეს და შვილის წართმევით დაემუქრა, რის შემდეგაც ფსიქიკურად დაავადებულმა ელისო ხარაიშვილმა მკვლელობა ჩაიდინა.

*ინტერპრესნიუსი*

# საპყრობილეში მომხდარ ინციდენტზე სხვადასხვა ინფორმაცია ვრცელდება

გავრცელებული ინფორმაციით, სასჯელაღსრულების დაწესებულების თბილისის N1 საპყრობილეში პატიმართა შორის გუშინ მომხდარი ურთიერთშელაპარაკება სისხლის ღვრით დასრულდა. არაოფიციალურად, შელაპარაკების დროს, ე.წ. კანონიერმა ქურდმა, ალექსანდრე ქურასბედიანმა, მეტსახელად "წრიპამ" ერთ-ერთი პატიმარი დანით დაჭრა. პატიმრის დაჭრის ფაქტს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა კოპაძე არ ადასტურებს და განმარტავს, რომ საპყრობილეში მხოლოდ ურთიერთშელაპარაკება მოხდა. კოპაძის ინფორმაციით, ინციდენტში მონაწილე პირები სხვადსხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაიყვანეს და ამით საპყრონილეში სტაბილური მდგომარეობაა.

## უცხოეთი

# „სამთა კავშირის" მორიგი შეხვედრა

პირველი გვერდიდან

1-3 ივლისს კალინინგრადი იუბილეს ზეიმობდა. ამჟამად რუსეთის იურისდიქციაში მყოფ ქალაქს დარსებიდან 750 წელი შუსრულდა. ისტორიკოსთა მტკიცებით, 1225 წელს მართლაც დაარსდა ციხე-ქალაქი ამ ადგილას, თუმცა, მას მაშინ კენინგსბერგი ერქვა. თანაც ჩეხეთის ჯვაროსანმა მეფემ ოტოკარ პშემისელ II-მ ციხესიმაგრეს სექტემბერში ჩაუყარა საფუძველი და არა ივლისში. ხოლო დღევანდელი კალინინგრადის ისტორიას თუ გადავხედავთ - იგი სულ რაღაც ექვს ათწლეულს ითვლის. 1946 წელს დაერქვა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შესულ აღმოსავლეთ პრუსიის დედაქალაქს კალინინგრადი.



წლების განმავლობაში იგი ბალტიის ზღვაზე რუსეთის ძლიერების სიმბოლოს წარმოადგენდა. თუმცა, დღეს ამ სიმბოლოსგან, ისევე როგორც რუსეთის ზესახელმწიფოებრივი ამბიციებისგან თითქმის არაფერია დარჩენილი. კალინინგრადის პრობლემები მთელი მსოფლიოსთვის არის ცნობილი. რუსეთში შიდსით დაინფიცირების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კალინინგრადშია დაფიქსირებული. ქალაქში ნარკომანთა ძალიან დიდი პროცენტია, ხოლო საზღვართან სიახლოვე კონტრაბანდის აყვავებას უწყობს ხელს.

გუშინაც სიმბოლური იყო კალინინგრადის იუბილესადმი მიძღვნილი ზეიმი და, მით უმეტეს, სიმბოლური იყო იქ მიწვეული სტუმრების შემადგენლობა.

პუტინი, შრიოდერი და შირაკი სხვა მსოფლიოს ლიდერებისგან განმარტოებით შეხვედრები თითქოს ტრადიციად გადაიქცა. მართალია, მათ ბოლო შეხვედრაზე პარიზში (ეს შეხვედრა მარტში შედგა), ესპანეთის პრემიერ-მინისტრიც იმყოფებოდა. თითქოს ამ "ანტიამერიკულ" სამეულს შეიძლებოდა ესპანეთიც შეერთებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს ხოსე ლუის როდრიგეს საპატეროს "ვერ მოიცალა" ახალ მეგობრებთან სასაუბროდ. რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწის სერგეი პრიხოდკოს თქმით, საერთაშორისო შეხვედრების გრაფიკი სამიტში მონაწილეობის საშუალებას ამჟამად არ მისცემს ესპანეთის პრემიერ-მინისტრს.

სიმბოლური იყო ისიც, რომ იმანუილ კანტის ქალაქში, დიდი გერმანელი ფილოსოფოსის სახელის ადგილობრივი უნივერსიტეტისთვის მინიჭებისას, პუტინი მასპინძლის რანგში ილებდა მილოცვებს გერმანიის კანცლერისგან.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კალინინგრადში პირველად ჩავიდა გერმანიის კანცლერი. მასთან ერთად რუსეთს პრუსიული ქალაქის იუბილეს ულოცავდა "სამთა კავშირის" განუყრელი წევრი ჟაკ შირაკიც.

ბევრისთვის გაუგებარი აღმოჩნდა რატომ არ დაპატიჟეს იუბილეზე კალინინგრადის უშუალო მეზობლები ლიტვისა და პოლონეთის ლიდერები. თუმცა, ეს ალბათ მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო - "ჩვენს დღესასწაულზე მხოლოდ ჩვენი მეგობრები დავპატიჟეთ", - მოსკოვის ოფიციალური პოზიცია ასე ჟღერდა. ასე რომ, ზემოაღნიშნული ქვეყნების ლიდერების გარდა რუსეთს არავის დაპატიჟება აზრადაც არ ჰქონია. **"ეს უფრო მეტია, ვიდრე შეცდომა"**, - ლაკონური კომენტარით დაკმაყოფილდა ალექსანდრ კვასნევსკი. ლიტვის პრეზიდენტი, ვალდას ადამკუსი საერთოდ მოერიდა საჯარო განცხადებების გაკეთებას ამ თემასთან დაკავშირებით. რასაკვირველია, ლიტვის პრეზიდენტის იგნორირება 9 მაისს მოსკოვში მის ჩასვლაზე უარს უკავშირდებოდა.

საინტერესო იყო სამიტის დროს განხილული თემებიც. ოფიციალური განცხადებით, საუბრობდნენ ძირითადად ქალაქ კალინინგრადის სპეციალურ სტატუსსა და რუსეთისა და ევროკავშირის მომავალ ურთიერთობებზე (შეგახსენებთ, კალინინგრადს საზღვრები მხოლოდ ევროკავშირის ქვეყნებთან აქვს). თუმცა, ეს შეხვედრა მომავალ "დიდი რვიანის" სამიტზე განსახილველ საკითხებზე პოზიციების შეჯერებისთვისაც იქნებოდა გამოყენებული. გარდა ამისა, დღის წესრიგში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ირანის ბირთვული პროგრამის საკითხსაც.

**"მოხარული ვარ, რომ დღეს აქ ვხედავ საფრანგეთის პრეზიდენტსა და გერმანიის კანცლერს და შესაძლებლობა მომეცა განვიხილოთ ჩვენს ქვეყნებს შორის თანამშრომლეობის საკითხები, ისევე როგორც თანამშრომლობა ევროკავშირთან"**, - ასე დაიწყო პრეიზნდეტმა პუტინმა შეხვედრა მეგობარი ქვეყნების ლიდერებთან კალინინგრადის მახლობლად მდებარე საკურორტო ქალაქ სვეტლოგორსკში (ყოფილი რუშენაუ). **"ჩვენთვის მნიშვნელოვანია გავიგოთ თქვენი მოსაზრება ევროკავშირსა და რუსეთს შორის მომავალი თანამშრომლობის ხასიათის შესახებ, ევროკონსტიტუციასთან დაკავშირებული უკანასკნელი მოვლენების გათვალისწინებით. ჩვენ, ასევე, დაინტერესებული ვართ, მოსაზრებები გავუზიროთ ერთმანეთს გაეროს რეფორმირების, ახლო აღმოსავლეთის პრობლემისა და ირანში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით"**, - ვლადიმირ პუტინის თქმით, ასეთი იყო სამიტის ძირითადი თემები. რუსეთის ლიდერი თავის მეგობრებს სხვა ქვეყნის ლიდერებთან მის მოლაპარაკებებზეც "გულახდილად" მოუთხრობდა გუშინ. **"უკასკნელ დროს მე მრავალრიცხოვანი კონტაქტები მქონდა ჩვენს კოლეგებთან. ჩემთან სტუმრად იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ჰუ ძინტაო. მინდა მისი მოკითხვა გადმოგცეთ და ინფორმაცია მოგაწოდოთ ჩვენი მოლაპარაკებების შესახებ"**, - ამბობს პუტინი. ცოტა უცნაურია, პუტინის მიერ ჩინეთის "ლობირება". მაგრამ, ალბათ, მსგავს საკითხებზე საჯაროდ აქცენტების გაკეთება, სწორედ სამეულის "ურყევ" კავშირზე ხაზგასმას ისახავდა მიზნად.

ასე რომ, მომავალი "დიდი რვიანის" სამიტისთვის თითქმის ყველაფერი მზადაა. როგორც ჩანს სვეტლოგორსკის მოლაპარაკებები, სახელმწიფოთა შორის კონსულტაციების ბოლო ეტაპი იქნება. წინ შოტლანდიაში, გლინიგლის სასახლეში შეხვედრაა. ალბათ, იქ გაირკვევა რა საკითხებზე შეძლეს მხარეებმა შეთანხმებების მიღწევა.

# აფეთქებები კოსოვოში

პრიშტინაში, კოსოვოს სერბულ რაიონში, რომელიც 1999 წლიდან გაეროს დაქვემდებარებაშია, სამი აფეთქება მოხდა. შაბათს საღამოს გაეროს წარმომადგენლობასთან, კოსოვოს პარლამენტთან და ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) ოფისთან აფეთქებებს მსხვერპლი არ მოჰყოლია. აფეთქებების სერია გაეროს გენერალური სამდივნოს ექსპერტის პრიშტინაში ოფიციალური ვიზიტით ჩასვლას დაემთხვა. მას უნდა მოემზადებინა მოხსენება კოსოვოში არსებულ მდგომარეობაზე სანამ კოსოვოს საბოლოო სტატუსზე დაიწყება მოლაპარაკებები.

კოსოვოს ორ მილიონიანი მოსახლეობის 90 პროცენტს ალბანელები წარმოადგენენ, რომელნიც დამოუკიდებლობას მოითხოვენ, მაგრამ ბელგრადი ამის კატეგორიული წინააღმდეგია. ექსტრემისტად მიჩნეული ალბანური დაჯგუფებები აკრიტიკებენ საერთაშორისო ინსტიტუტების მუშაობას კოსოვოს საკითხის მოგვარებაში.

**"ჯერ კიდევ ადრეა, განვაცხადოთ, რომ ეს აფეთქებები კოსოვოში არსებული საერთაშორისო ინსტიტუტების წინააღმდეგ არის მიმართული "**, - ხაზგასმით აღნიშნა კოსოვოში გაეროს წარმომადგენლობამ.

# პირველი მძევალი ელჩი ერაყში

ეგვიპტის ელჩი ერაყში, იაზ შერიფი, შაბათს საღამოს ბაღდადში გაიტაცეს, - განაცხადა გუშინ ერაყის შინაგან საქმეთა სამინისტრომ. ანალოგიური შინაარსის განცხადება ერაყში ეგვიპტის დიპლომატიურმა წარმომადგენლობამაც გააკეთა. **"შაბათს საღამოს ეგვიპტის ელჩი გაზეთს ყიდულობდა, როდესაც შეიარაღებული პირებით სავსე ორმა ბეემვეს ტიპის მანქანამ გზა გადაუჭრა და გაიტაცა,"** – ამბობს ერთ-ერთი ეგვიპტელი დიპლომატი თვითმხილველის სიტყვებზე დაყრდნობით. განსხვავებული ვერსია აქვს ერაყის შინაგან საქმეთა სამინისტროს - მათი ცნობით იაზ შერიფი თავისი საცხოვრებელი ბინიდან (ბაღდადის ცენტრი) გაიტაცეს. თუმცა, ვერსიათა შორის გასხვავება ეგვიპტელი დიპლომატის ბედს არანაირად არ ამსუბუქებს. ჯერჯერობით უცნობია გამტაცებელთა ვინაობა და მათი მოთხოვნები. აღსანიშნავია, რომ სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ, ეს ქვეყანაში ელჩის გატაცების პირველი შემთხვევაა. თუმცა, უფრო დაბალი რანგის დიპლომატებზე, მათ შორის ეგვიპტელებზე, თავდასხმები მანამდეც ყოფილა. მაგალითად, 2004 წლის 23 ივლისს, ეგვიპტელი დიპლომატი, მოამედ მამდუ კოტბი, ისლამურ დაჯგუფებას, რომელიც "ალაჰის ლომების" სახელით არის ცნობილი, სამი დღის განმავლობაში ჰყავდა დატყვევებული. ვიდეო მიმართვაში დაჯგუფების წევრები აცხადებენ, რომ ეს იყო მათი პასუხი ეგვიპტის პრემიერ-მინისტრის აჰმედ ნაზიფს შეთავაზებაზე. შეგახსენებთ, ეგვიპტემ ერაყის ახალ ხელმძღვანელობას ეგვიპტის უშიშროების სამსახურების დახმარება შესთავაზა კადრების მომზადების დარგში.

ნოდარ ლადარია




მათემატიკურ ფიზიკას პროფესორი **გოგი ალექსანდრია** გვასწავლიდა — სხვათა შორის, დღემდე არ ვიცი, გიორგი ერქვა თუ გრიგოლი — საყოველთაო სიყვარულის გამო დიდი და მცირე გოგის ეძახდა დეპუტატ **გოგა ბოკერიას** ბაბუას. მახსოვს, საზაფხულო სესიაზე ვაბარებდი მათემატიკას — რომელიღაც რთულ ზედაპირზე განაწილებული ფუნქციის ინტეგრალი უნდა ამეღო და წინა მერხზე მჯდარი მეგობრის ფურცელს. აუდიტორიის კარი გაიღო და ორი კომკავშირელი შემოვიდა. პროფესორს მიუახლოვდნენ და რაღაცის ჩურჩული დაიწყეს. მე ისევ ფურცელს დავაშტერდი — ვინმემ რომ ყურადღება მოაქციოს, ზედამხედველს ვერ გამოვეპარებოდი.

მოულოდნელად ხმელი და მჭახე ბგერა გაისმა. ეს ერთადერთი რამ შეიძლება ყოფილიყო: მაგიდაზე რისხვით დახეთქილი მარჯვენა ხელის მტევანი. ვარაუდი იმწამსვე დადასტურდა: ბატონი გოგი აღშფოთებული ხმით:

— კაცო, "ანგლია" გამოწერილი მაქვს, "ფრანცია" გამოწერილი მაქვს, იქაც არ წამიკითხავს, რომ ყაბირის გულისთვის ნიშანს უმატებდნენ!

"ანგლია" და "ფრანცია" მაშინდელი "ელიტარული" ანუ, პარტიული ტერმინით რომ ვთქვათ, ლიბერალური ჟურნალები იყო — "ამერიკასთან" ერთად. მაგრამ ახლა სხვა რამეა მნიშვნელოვანი: "ყაბირელი" კოლეგისთვის ნიშნის სათხოვნელად მოსული ორი კომკავშირელი კუდამოძუებული გაიქცა აუდიტორიიდან.

"ყველა ცხოველი თანასწორია" — აცხადებდა **ჯორჯ ორუელის** მიერ მოგონილი ცხოველების ფერმის კონსტიტუცია. "ზოგიერთნი სხვებზე უფრო თანასწორნი არიან" — აზუსტებდა მოგვიანებით დაკანონებული შესწორება. საბჭოთა დროს "ყაბირულების" პრივილეგიებს მაინც ვერ შეედრებოდა ის შეღავათები, რომლებითაც სპორტსმენები სარგებლობდნენ. არავის ენახა ლექციებზე, გამოცდების დროს ხან სპარტაკიადებზე იყვნენ, ხან ბანაკებში, მაგრამ ნიშნები მაინც ეწერებოდათ. ისინი "ქვეყნის სპორტულ ღირსებას" იცავდნენ: ზოგიერთი ადამიანის გასაოცარი პირადი ამბიცია, შემდეგ კი გამარჯვება, ერთგულების სიმბოლოდ იქცეოდა საბჭოთა სისტემისთვის.

ამიტომ იქმნებოდა გმირები, "ჭეშმარიტად სახალხო გმირები", ანუ ისინი, ვინც სპორტულ სარბიელზე იმარჯვებდნენ და, ამავე დროს, საბჭოთა წყობილების უპირატესობის საბუთი.

ამიტომაც იქმნებოდა ყალბი ცნობები, ფიქტიური სამხედრო წოდებები, საზღვრისპირა დოზეზე წინასწარ გათვლილი ქორწინებები — გმირები ისეთივე არიან, როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი...

ეს ვითარება შესაბამის ასახვას პოულობდა სახალხო შეგნებაში, სადაც ზეიმთან ერთად დიდი სპორტსმენების "ხისთავიანობაზე" ანეკდოტებიც იყო: "მაჩვენე სინუსი როგორ იწერება და სამიანს დაგიწერ". ეს საერთო სახალხო ქილიკი მშვენივრად ეხამებოდა საერთო სახალხო თაყვანისცემას — როგორც ყველაფერი გულის-გულამდე ფარისევლურ საზოგადოებაში.

მაგრამ არსებობდა კიდევ ერთი პრივილეგირებული ჯგუფი. თუმცა მისი პრივილეგია არა სახელმწიფო პოლიტიკა იყო, არამედ ხალხში სპონტანურად გაჩენილი დისიდენტური განწყობა. ხომ გახსოვთ: "ქურდებს ცქერთ სნამი", "ქურდი, რაც არ უნდა იყოს, დედის ბიჭია" და ა. შ. კრიმინალური ფილოსოფია ხალხში მიღებულ ღირებულებად იქცეოდა. ამ დროს სახელმწიფო კრიმინალთა შეუმჩნეველ რომანტიზაციას ამაში ადასტურებდნენ საბჭოთა მწერლებიც. **ზაიდ გამსახურდია** და **ვარლამ შალამოვი**.

ეს ორი ჯგუფი — სპორტსმენები და კრიმინალები — საბჭოთა დროის ძალიან განსხვავებული იყო, მაგრამ ერთი რამ აერთიანებდა: ორივენი სახელმწიფოს მიერ შექმნილ სიმბოლოებს ეყრდნობოდნენ.

შემდეგ შეიქმნა ვითარება, როცა ეს ძველი მიდგომები, ეს ფსიქოლოგია დამოუკიდებლობის ხანაში ჩაბუდებული ყალბი საზღვრებით იქცა. თითქოს, როცა ნამდვილი ღირებულებები განახლდა, ძველი იქცა არა ნამდვილ, არამედ საბჭოთა წყობილების ზუსტო.

სამწუხაროდ, არ მახსოვს, მაგრამ მგონი **გია ნოდია** წერდა ოდესღაც იმ კრიზისზე, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ ხანებში განიცადა ეროვნულმა შეგნებამ: მონელებას ვინ ჩივის, ძნელი გადასაყლაპი აღმოჩნდა ის გარემოება, რომ ამიერიდან ბოროტების განსახიერებად საბჭოთა სუკის პირსისხლიანი აგენტი ან "იმპერიული ჩინოვნიკი" კი არა, ქართველი დედის გაზრდილი ყაჩაღი ან კორუმპირებული ფუნქციონერი უნდა ყოფილიყო.

ის, რასაც ეროვნულ თვითშეგნებას ვუწოდებთ, პირველად წააწყდა შინაურ, "ეროვნულ" უსამართლობას. წააწყდა და დამუხრუჭდა. აქ კი წამით შეჩერება ღირს.

ერთ დროს ნახევრად სერიოზული თეორია შევიმუშავე: რატომ ამოიღეს საშუალო სკოლის პროგრამიდან **დანიელ ჭონქაძის** მოთხრობა "სურამის ციხე". თეორიის მიხედვით, ამ ტექსტში მოცემული მტრის ხატი არ ეთანხმებოდა გაბატონებულ იდეოლოგიას. მტერი არ იყო არც ყიზილბაში მტარვალი და არც ერთმორწმუნე რუსი მჩაგვრელი — ეს ჩვენი "რადნოი" მებატონე იყო. რა თქმა უნდა, ამგვარი სახეებითაც აღსავსეა ჩვენი კულტურა: გასახსენებლად მარტო **ნიკოლოზ ბარათაშვილის** გამყივანი სტრიქონი კმარა — "მაგრამ იუდა ჟამს ეძიებდა!" — ან მოღალატე თავადების სახეები "გიორგი სააკაძესა" და "მაია წყნეთელში". მაგრამ დანიელ ჭონქაძის მებატონეებს არაფერი ჰქონდათ ინფერნული ან საბედისწერო, მათ ვერ დაუკავშირებდი ჩვენს დაუსრულებელ და ფსევდოისტორიულ დაღად ქცეულ ძნელბედობას. ეს მებატონეები ყოფითად ჩვეულებრივნი არიან, უყვართ სმა-ჭამა, მოლხენა (როგორც ეტყობა, ქართული სუფრის მადლიც იციან), პატივს სცემენ სტუმრებს და მათ გასართობად დედა-შვილის შებმაც შეუძლიათ გუთანში. მერე კი (განა რაიმე განსაკუთრებული შავბნელი სისასტიკის გამო! — ისე, გასართობად) კევრში შეაბამენ, სადაც მოძრაობის სიჩქარე და, შესაბამისად, სანახაობრივი ღირსებებიც მეტია.

"საწყალი კაცია! — საწყალი კი არა, შეაბი!" ან სხვანაირად: "საწყალი კი არა, მოიტანოს, გადაგვიხადოს!" Iactura paucorum serva nos — მცირეთა შეწირვა ჩვენ გვემსახურება — ქართული სიყვარულის ანი და ჰოე. ვარიანტი: "გაანებე თავი, გაანებე! რაც უფრო მეტს აიყვანენ, მეტს მოვიგებთ" — უყვირა ტელეკომპანია "იმედის" ეთერში **ბაჩუკი ქარდავამ** თავის პარტიულ ამხანაგს, რომელმაც პოლიტიკური მომენტის მოთხოვნას ვერ გაუგო და პატრულის კლანჭებიდან ვიღაცის გადასარჩენად გაიწია. რას იზამ, ჯერ კიდევ **ბენედეტო კროჩე** აღნიშნავდა, რომ რაც უფრო მდარეა ლიტერატურული ნაწარმოები, მით უფრო გამოდგება ეპოქის მოწმობად. შემთხვევისთვის შესაფერის ენაზე რომ ვთარგმნოთ, რაც ნაკლებ გამჭრიახია რესპონდენტი, მით მეტი შანსია, რომ სიმართლე წამოსცდება.

ერთი სიტყვით, გია ნოდიას მიერ შენიშნულმა კრიზისმა კიდევ ერთხელ მოიქნია კუდი: **ვანო მერაბიშვილი** ძალაუფლების გადამეტებაში დაადანაშაულეს. როგორ შეიძლება ქართველმა ასეთი სისასტიკე გამოიჩინოს ქართველის მიმართ! ახლა კი წარმოვიდგინოთ: ვანო მერაბიშვილი იბარებს თანამშრომლებს და ინსტრუქციას უწევს, თუ როგორ უნდა აღკვეთონ აქცია რუსთაველზე: "ვიცი, ქართველები ხართ, ერთმანეთის მიმართ გასაოცარ, წარმოუდგენელ, ანგელოზურ სიყვარულსა და ღვთაებრივ მოწიწებას გრძნობთ. ქართველს რომ დაინახავთ, მაშინვე გსურთ, მიეფეროთ, დაუყვავოთ, ანუგეშოთ, ტიტები აჩუქოთ და ძვლები გაუთბოთ. მაგრამ დღეს ეს უნდა დაივიწყოთ, დასძლიეთ საკუთარი თავი და წიხლებით ჩატენეთ მანქანებში მშვიდობიანი მოსახლეობა!". ამგვარი აბსურდის წარმოდგენა კი იმისთვის გვჭირდება, რომ ერთი რამ გავიაზროთ: სანამ საპირისპირო დებულება დოკუმენტურად არაა დამტკიცებული, შესაძლო სისასტიკის ავტორი კონკრეტული ხელისუფლება კი არაა, არამედ ყოველ ადამიანში ჩაბუდებული ბუნებრივი აგრესია, რომელსაც არ ზღუდავს პროფესიონალიზმის ლაგამი. სხვათა შორის, ეს აგრესიაც ძალიან დიდი არ ყოფილა: ჩვეული ქართული დაუდევრობის გამო საპატრულო პოლიციაც და სპეცრაზმიც მიუტევებლად დიდხანს ზოზინებდნენ. აღმკვეთი ღონისძიება კი გაცილებით უფრო ადრე უნდა დაწყებულიყო — სასამართლო დარბაზში ატეხილი აურზაურის შემდეგ.

მაშ ასე, პირველი დაბრკოლება ქართული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე — შინაურ ნიადაგზე აღმოცენებული უსამართლობა. მეორე დაბრკოლება უკვე უსამართლობა კი არ იყო (უსამართლობა ყოველთვის დაბრკოლებაა), არამედ წესრიგი. წესრიგს ამ კურთხეულ მიწაზე ყოველთვის სხვა ამყარებდა.

ვიხსენებ ერთ ყმაწვილს, რომელიც სასულიერო აკადემიაში ჩემს მომდევნო კურსზე სწავლობდა. ამავე კურსზე ირიცხებოდა დღევანდელი სახალხო დამცველი, **სოზარ სუბარი**. იქნებ სოზარს ახსოვდეს იმ ბიჭის სახელი, რომელიც წერდა და მერე რომელიღაც გაზეთში აქვეყნებდა კიდეც სტატიების ციკლს მერაბ კოსტავასებური გულისგამგმირავი სათაურით: "ფიქრები ქართულ სახელმწიფოზე". ერთხელ, აუდიტორიაში შესული, ამ ახალგაზრდა ავტორის ხმამაღალ მსჯელობას გადავეყარე: "ჩვენ ჩვენი ქართული ჯარი გვექნება. ქართველებს ბრძოლაში ვინ შეედრება. მაგრამ ტუალეტებს ისინი კი არ გახეხავენ, ამისთვის რუსის ქალები ეყოლებათ". საოცარი დრო იყო 1991 წელი!

წესრიგი აქ ისევ ორუელის მიერ აღწერილი პირუტყვული კონსტიტუციის ქარგაზე იყო გამოჭრილი: ყველანი თანასწორნი არიან, მაგრამ ზოგიერთნი... ეს ზოგიერთნი ქართულ სახელმწიფოში, რა თქმა უნდა, ეთნიკური ქართველები უნდა იყვნენ. სხვა ტიპის დამაკავშირებელი ფაქტორი (მაგალითად, პოლიტიკურ ინტერესთა ერთიანობა) აქ ვერ წარმოუდგენიათ. ამიტომაც მიმაჩნია, რომ პოლიციურ ხელკეტებზე უფრო ტრაგიკული იყო ის გინება, რომელიც ბარბაროსულად დანგრეულ სასამართლო დარბაზში წილად ხვდა საქართველოს პრეზიდენტს. საქმე ის კი არაა, რომ პრეზიდენტს აგინებენ — ამაში, თავისთავად, არც გასაკვირია არაფერი და არც საგანგაშო. მაგრამ საინტერესოა, როგორ აგინებენ.

ტელეეთერში ჯერ ჩვეული ქართული "კურთხევა" გაისმა — ადამიანის სქესობრივ აქტივობასთან დაკავშირებული სიტყვა, რომლის დაბეჭდვას გაზეთები ჯერ კიდევ ერიდებიან და რომლის გაგონებაზე ყველა ჭეშმარიტ ვაჟკაცს შელახული ღირსების გრძნობა ახსენებს თავს. მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და ამიტომაც იყვირეს სასამართლოს დამრბევებმა: "სააკაშვილი იელოველი!" — მათი გაგებით, ყველაზე მძიმე შეურაცხყოფა და წყევლა, რაც კი შეიძლება მოიფიქროს ადამიანმა.

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



ძალიან ბევრი ითქვა იმაზე, რომ ქართველი პოლიტიკანები 30 ივნისის საღამოს კრიმინალ "ჯღანას" დასაცავად გამოეფინენ ქუჩაში. რომ დაფიქრდე, ამ მოვლენის შეფასება კონტექსტზეა დამოკიდებული, მით უმეტეს, რომ დაცვას ყველა იმსახურებს, თუნდაც "ჯღანა". სხვა რამეა უფრო საშინელი: რომელმა კონტექსტმა უნდა გააქარწყლოს ის, რომ ჩვენი პოლიტიკანები "ჯღანასთან" ერთად პოლიტიკურ ველურობას იცავდნენ?

ამ მეორე დაბრკოლებას — პოლიტიკური ინტერესების ერთიანობაზე დამყარებული წესრიგის მიუღებლობას უკვე სხვანაირი დაძლევა სჭირდება. თანამედროვე პირობებში სახელმწიფო ვერ იარსებებს ეთნიკურ იდენტობაზე, კაცურ გაგებაზე, ნათესაურ სიყვარულზე და ა. შ. სახელმწიფო საჯარო სფეროში არსებობს და ფუნქციონირებს, ანუ იქ, სადაც ხსენებული ღირებულებები ფიქციად იქცევა. ქვეყანაში, სადაც მეტ-ნაკლებად დიდი თანხის გასესხება ან ბინის ქირაობა ელემენტარული დამოწმებული ხელწერილის გარეშე, მხოლოდ "კაცურ სიტყვაზე" დაყრდნობით ხდება, ყოველთვის იქნება საკმარისი საბაბი უკონტროლო ძალადობისთვის და აქ ვერავითარი ხელისუფლება ვერ უშველის. ის, ვინც პოლიტიკურ ველურობას ლეგიტიმური ძალადობისგან იცავს, ვერასოდეს შეძლებს წესრიგის დაცვას უკანონო ძალმომრეობისგან.

ამიტომაცაა საქართველოში ასეთი ადვილი ოპოზიციაში ყოფნა. ორი რამეა საჭირო: ყვირილი (ცივი ხმით) — "კაცისმკვლელებო! კაცისმკვლელებო!" და წუწუნი (სლუკუნი) — "გაგვლანძღეს! გაგვთათხეს!". რაო, სააკაშვილის ლექსიკას დაემსგავსა ჩემი ნაწერი? — ეჰ, საქმეს ვატყობ, რომ იმ დალოცვილს კიდევ ბევრი მოხვდება ჩემგან, მაგრამ იმასაც ხომ ვერ დავმალავ, რომ, ერთი მხრივ, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ სამედიცინო ინსტიტუტის კომკავშირის მდივნებმა მუდმივი ტრიბუნა დაიმკვიდრონ, მეორე მხრივ, ოპოზიცია წელებზე ფეხს იდგამს, რომ მისი ხმა მართლაც ყიყინს და იმას... რა ქვია?.. ჰო, ბჟუტიალს დაემსგავსოს.

და მერე რატომ? იმიტომ, რომ გამოჩნდა მესამე დაბრკოლება: შინაურ ნიადაგზე აღმოცენებული სახელმწიფოებრივი სამართალი. სამართალი, რომლის მსახვრალი ხელი დაგვიანებით, ჯერ ულაზათოდ და მოუხეშავად მოქმედებს... რაო, აქაც რაიმე მსგავსება შეიცანით? რატომაც არა — მეც მინდა ვთქვა, როგორც ოდესღაც ვიღაცამ...

მჯერა!

რომ საქმის დასრულების შანსი მხოლოდ იმას აქვს, ვინც დაიწყო. ამ შემთხვევაში კი გაცილებით უფრო ადვილია იყვირო, მაგალითად, სასამართლოს არაქმედითობაზე, ვიდრე აიღო პასუხისმგებლობა და მოეჭიდო რეფორმას მაშინ, როცა მთელ ქვეყანაში მხოლოდ ოციოდე (ოციოდე!) მოსამართლე და ადვოკატია, ვინც ატესტაციაზე არ ჩაჭრილა.

მჯერა!

რომ ჯობია ადამიანს უთხრა "შენი დედა ... !", ვიდრე "შენს თბილისელობაში ეჭვი მეპარება". რადგან პირველი შეიძლება მხოლოდ ემოციურ შეუკავებლობაზე მეტყველებდეს, მეორე კი უცილობლად აღნიშნავს ისეთ მენტალურ განგრენას, რომელსაც ამპუტაციაც კი აღარ შველის.

მჯერა!

რომ ჩვენი ნაცემი და ნაწყენი დეპუტატები ადვილად გადაიტანენ ვნებათაღელვას — "მალ გამთელდების უწამლოდ მათი წყლულების ტკივილი" — და ჩვენც კიდევ მრავალჯერ ვიხილავთ სრულიად მოულოდნელ დაახლოება-განშორებებს, რადგან უკვე დიდი ბიჭები და გოგოები ვართ და საკმარისად დავრწმუნდით, რომ ამ პროცესებს იდეური მრწამსი კი არა, ნაღდი ფულისა და ძალაუფლების ცირკულაცია განსაზღვრავს.

მჯერა!

რომ ქართველ ხალხს სულაც არა სცხელა არც "ჯღანას", არც "კალატოზას" და არც იმისთვის, თუ როგორ თავს ევლებიან ნათესავ-ახლობლები **ტარიელ ონიანის** შვილს ბარსელონაში. გაზულუქებულ სპორტსმენთა ხუშტურების მაგიერ ქართველ ხალხს ის უფრო აინტერესებს, რომ შვილი საპატრულო პოლიციაში მოაწყოს, ლამაზი ფორმა ჩააცვას და თუ ხელში "დუბინკას" დააჭერინებენ, არც ეგაა უბედურება — შემთხვევა მიეცემა და გულს მაინც მოიფხანს მამაპაპურად.

მჯერა!

რომ ნათელაშვილ-გამყრელიძე-ქარდავების მურასა ლავაშებზე მეტად მარგებელი დღეს ამ სიტყვების სიმწარე უნდა იყოს. ოდესღაც ჩვენი მთავარი ნაციონალ-დემოკრატის, **გია ჭანტურიას** ერთ ბროშურაში ამოვიკითხე ცნება — "პროფესიონალი ქართველი". მკითხველი მაპატიებს, თუ წამით იმ მარაზმატული ფილოსოფიის წიაღში დავაბრუნებ, თხუთმეტიოდე წლის წინათ რომ ბატონობდა ჩვენში, და არ მიწყენს მე, "დილეტანტ ქართველს". მით უმეტეს, რომ "დილეტანტი", ლათინურიდან რომ ვთარგმნოთ, მოყვარულს ნიშნავს, ანუ იმას, ვისაც უყვარს და თავისი სიყვარულის ობიექტს ბევრსა სთხოვს.


**"საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სატენდერო კომისია გაცნობებთ, რომ მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2005 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ინფექციურ დაავადებათა კომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით ა. წ. 30 ივნისის გაზეთ "24 საათში" (N146 (1006)) გამოქვეყნებული განცხადების 5.3. პუნქტი ჩამოყალიბებული უნდა იყოს შემდეგნაირად:**

**"5.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

**ა) ლიცენზია, (ან ცნობა მუდმივი ლიცენზიის არსებობის შესახებ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ლიცენზირებისა და სერთიფიცირების დეპარტამენტიდან) შესასყიდი სამედიცინო საქმიანობის შესახებ დანართის წარმოდგენით;**

**ბ) ჰიგიენური სერთიფიკატი ან ცნობა დაწესებულების ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ (მერიის შესაბამისი სამსახურიდან);"**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) აცხადებს ღია, ორეტაპიან ტენდერს სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის 2005 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა დამატებითი სამედიცინო გამოკვლევის უზრუნველყოფის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა დამატებითი სამედიცინო გამოკვლევის უზრუნველყოფა.

3. მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ეს უკანასკნელი - დახურულ კონვერტში), ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 20 ივლისიდან 21 ივლისის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს ან შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება. ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიიდან (თბილისში მდებარე ორგანიზაციებისათვის) ან სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით (საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებში მდებარე ორგანიზაციებისათვის);

დ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ე) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

5.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს რაიონული სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

5.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ლიცენზია, (ან ცნობა მუდმივი ლიცენზიის არსებობის შესახებ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ლიცენზირებისა და სერთიფიცირების დეპარტამენტიდან) შესასყიდი სამედიცინო საქმიანობის შესახებ დანართის წარმოდგენით;

ბ) ჰიგიენური სერთიფიკატი ან ცნობა დაწესებულების ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ (მერიის შესაბამისი სამსახურიდან);

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. ინსტრუქცია ორეტაპიან ტენდერში მონაწილეთათვის:

***პირველადი სატენდერო წინადადება, დახურულ კონვერტში***, ფინანსური მახასიათებლების გარეშე წარდგენილ უნდა იქნას სატენდერო კომისიაში ***(საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენასთან ერთად).***

***პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას***:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება;

ბ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის დასახელება;

გ) მომსახურების ზოგადი აღწერილობა;

დ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ე) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის სამედიცინო პერსონალის საშტატო განრიგი და ხელმძღვანელის წერილობითი ვალდებულება იმის თაობაზე, რომ დაწესებულებაში დასაქმებული მაღალი სამედიცინო პერსონალი სერტიფიცირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

ვ) შევსების თარიღი და ხელმოწერა.

9. მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ მონაწილეებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

10. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

11. საკვალიფიკაციო შერჩევა დაიწყება 2005 წლის 22 ივლისიდან წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

12. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის დაწყება-დამთავრების თარიღი ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით. სატენდერო დოკუმენტაციის პრეტენდენტთათვის გაცემა მოხდება 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი; მიმღები ორგანიზაცია: სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი; მიმღების ანგარიში: 000115007; მიმღების ბანკის კოდი: 220101107; მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი: 211402855; საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საიდენტიფიკაციო კოდი: 202204453). სატენდერო დოკუმეტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

13. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

14. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: გელა ჩიკვაიძე. ტ: 694871, 696590, მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული; E-mail: P .

*სატენდერო კომისია*

სსიფ — საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი — GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND — GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

